# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 თებერვალი 2005 №40 (2363) ფასი 50 თეთრი



**გოგიტა გოგუამ ხიმკი ირჩია**

3



**ლოკომოტივმა ქართული გოლებით მოიგო**

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

4



**თბილისი სტუმრებს დახვდება**

კასპაროვი რუსეთში ვარდების რევოლუციას დაატრიალებს

15

# მაინც შევა

## ანჩელოტიმ ფერგიუსონს შევჩენკოს გარეშე მოუგო



REUTERS მანჩესტერიდან

# ფიფამ საქართველოს ორი გოლი აჩუქა



საქართველო არის ერთად-ერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც ფიფას პროგრამა „გოლი 2"-ით გათვალისწინებულ ფინანსურ დახმარებას მიიღებს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე თქვა. ჩვენ კი მისი სიტყვები აქ იმად მოვიტანეთ, წარმოდგენა შეგექმნათ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მერაბ ჟორდანიამ ჟურნალისტებთან მეტწილად რაზე ილაპარაკა. თუმცა, შიგადაშიგ ისეთი კითხვებიც ისმოდა, მაგალითად, ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან იძულებით გადადგომას რომ შეეხებოდა...

იხილეთ მესამე გვერდი

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები



ბარსელონა. „კამპ ნოუ". 98 000 მაყურებელი

## ბარსელონა 2:1 ჩელსი

0:1 ბელეტი (33ს.კ.), 1:1 მაქსი ლოპესი (67), 2:1 ეტოო (73)

ვ. ვალდესი, ბელეტი (ხერარდი 85), პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ჟიული (მაქსი ლოპესი 64), ხავი, ალბერტინი (ინიესტა 57), დეკო, რონალდინიო, ეტოო
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი

ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, ტიაგუ (სმერტინი 90), მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (ჯონსონი 70), დაფი (გუდიონსენი 76), დროგბა
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**გაფრთხილება:** დროგბა, დროგბა; **გაძევება:** დროგბა (56)
**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**მაქსი ლოპესმა** და სამუელ ეტოომ „ბარსელონა" იხსნეს. რასაკვირველია, 2:1 კატალონიელთათვის სასურველ ანგარიშთა ნუსხიდან მაინც არ არის, მაგრამ პირველ ტაიმს „კამპ ნოუზე" „ჩელსი" იგებდა, ეს კი „ბარსასთვის" საშინელი შედეგი იქნებოდა.

„ჩელსი" პირველ ტაიმში მეტწილად თავს იცავდა და საჯარიმოს იყო მიჯაჭვული, მაგრამ ამას ტაბლოსთვის თითქოსდა ულოგიკო ანგარიშის დაწერაში ხელი არ შეუშლია — მას მერე, რაც „ჩელსის" ვარსკვლავმა დემიენ დაფმა მარჯვენა ფრთიდან შეუტია მასპინძელთა კარს, მცველმა ჟულიანო ბელეტიმ თავის კარში შეაგდო ბურთი.

ბუნებრივია, ფიზიკურად ძლიერი ლონდონელი მცველები ამის შემდეგ ორმაგი შემართებით აღუდგნენ წინ კატალონიელებს, მაგრამ მსაჯმა კოტდივუარელი თავდამსხმელი დიდიე დროგბა რომ გაუძევა, აშკარად დასუსტდნენ. პირველი გოლი ლოპესმა დროგბას გაძევებიდან 11 წუთის შემდეგ გაიტანა, ხოლო მეორე აფრიკის საუკეთესო მოთამაშემ ეტოომ მოგვიანებით, როდესაც ორ მცველს გაუძვრა, რათა იმავ ლოპესის პასს თუ დარტყმას შეგებებოდა.



პირველ ტაიმში „ჩელსის" ქომაგებს ასე უხაროდათ

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 67 162 მაყურებელი

## მანჩესტერი 0:1 მილანი

0:1 კრესპო (78)

კეროლი, გ. ნევილი (სილვესტრი 80), ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, კ. რონალდო (ვან ნისტელროი 63), კინი, სქოულზი, ფორჩუნი (საა 80), გიგზი, რუნი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

დიდა, კაფუ (კოსტაკურტა 87), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი 84), ზეედორფი, რუი კოშტა, კაკა (სერჟინიო 90), კრესპო
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**გაფრთხილება:** ნესტა, ფორჩუნი
**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**თოვლიან** მანჩესტერში ჩინებულ მატჩს წინ არანაკლებ შთამბეჭდავი სანახაობა, ათასობით ქომაგთა დემონსტრაცია უძღოდა. მანჩესტერული ფანობა ისევ მტკივნეულ თემას ატრიალებდა — მათ კატეგორიულად არ სურთ, კლუბი მდიდარმა ამერიკელმა მალკოლმ გლეიზერმა იყიდოს.

შემდეგ კი შედგა მატჩი, რომელშიც ანდრეი შევჩენკოს გარეშე მოთამაშე „მილანმა" მასპინძლებს მაინც მოუგო — შეხვედრის ერთადერთი გოლი არგენტინელმა ფორვარდმა ერნან კრესპომ 78-ე წუთზე გაიტანა. კრესპოს გოლი ინგლისელთა მეკარის, როი კეროლის შეცდომას მოჰყვა. მან კლარენს ზეედორფის დარტყმული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და კრესპოს წინ დააგდო.

ამის შემდეგ „მილანის" ბრაზილიელ ფეხბურთელს, კაკას აშკარად შეეძლო მეორეს გატანა, მაგრამ ვერ მოახერხა.

„იუნაიტედის" საუკეთესო შანსი სამხრეთაფრიკელ კვინტონ ფორჩუნს ჰქონდა.

ბრემენი. „ვეზერშტადიონი". 36 923 მაყურებელი

## ვერდერი 0:3 ლიონი

0:1 ვილტორდი (10), 0:2 დიარა (77), 0:3 ჟუნინიო (81)

რაინკე, სტალტერი, ისმაელი, პასანენი, მანინი, დ. იენსენი, ერნსტი, ბოროვსკი (ჰანტი 61), მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი
**მწვრთნელი:** თომას შააფი

კუპე, ლ. დიატა, ესიენი, კრისი, აბიდალი, გოვუ (ბენ არფა 88), მ. დიარა, ფრო (ნილმარი 63), ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი (კლემანი 76)
**მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი

**გაფრთხილება:** გოვუ, ვილტორდი, ბოროვსკი
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**„ლიონმა"** ბრემენში „ვერდერი" გაანადგურა. გოლები სილვენ ვილტორდმა, მაჰამადუ დიარამ და ჟუნინიო პერნამბუკანომ გაიტანეს. ალბათ, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ფრანგული გუნდი მეოთხედფინალშია, თუმცა, თუ გნებავთ, მაინც არ ვიჩქაროთ.

ვილტორდმა მე-10 წუთზევე გახსნა ანგარიში და გერმანიის ჩემპიონსაც ცივი წყალი პირველად სწორედ მაშინ გადაევლო. აქვე აღვნიშნოთ, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას მაინც გერმანელები ფლობდნენ, მაგრამ გოლი, მომენტების სიმრავლის მიუხედავად, ვერ გაიტანეს.

მეორე ტაიმში კი — თან სულ რაღაც ოთხწუთიან მონაკვეთში — „ლიონმა" კიდევ ორი გოლი გაიტანა. ჯერ 77-ე წუთზე დიარამ საჯარიმოს გარედან დაუმიზნა მასპინძლების კარს, ხოლო შემდეგ საჯარიმო დარტყმების სპეციალისტმა ჟუნინიომ არ გაუშვა თავისი შანსი ხელიდან.

პორტუ. „დრაგაუ". 38 177 მაყურებელი

## პორტუ 1:1 ინტერი

0:1 მარტინსი (24), 1:1 რიკარდუ კოშტა (61)

ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, პ. ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ნუნუ ვალენტე, ბოსინგვა (ლუის ფაბიანო 24), კოშტინია, მეირელეში, მანიშე, კვარესმა (პოსტიგა 83), მაკკარტი
**მწვრთნელი:** ჟოზე კოუსეირუ

ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვერონი (ემრე 71), კ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო (ვიერი 80), მარტინსი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**გაფრთხილება:** ფავალი, კორდობა, კოშტინია, მატერაცი
**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)

**თასის** მფლობელს იმედი ბოლომდე ჯერ არ გადაწურვია — ცენტრალურმა მცველმა რიკარდუ კოშტამ 61-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, ხოლო თუნდაც შინ და თუნდაც ისეთ მეტოქესთან, როგორიც „ინტერია", ფრე დამარცხებას რომ სჯობს, რაღ უნდა ლაპარაკი. ერთი სიტყვით, მეორე თამაშის წინ უპირატესობა მაინც მილანელების ხელთაა, მაგრამ უპირატესობაც არის და უპირატესობაც.

„ინტერმა" ანგარიში 24-ე წუთზე გახსნა. დეიან სტანკოვიჩმა მარცხენა ფრთიდან გაარღვია მასპინძლების დაცვა, საჯარიმოში შევარდა და მეკარე ვიტორ ბაიას მიღმა უმეთვალყურეოდ დარჩენილ ობაფემი მარტინსს მიაწოდა ბურთი. მარტინსმაც იგი დაუცველ კარში შეაგდო.

„პორტუს" გოლი კი, მაღალ ბურთზე გამოსვლისას „შავ-ლურჯების" ცნობილი მეკარის, ფრანჩესკო ტოლდოს შეცდომა რომ არა, იქნებ არც გასულიყო. მეკარის ვერმოხელთებული ბურთი კოშტინიამ უკან დააგდო და ზემოხსენებულმა კოშტამაც ერთი მეტრიდან შეაგდო.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა დანარჩენებივით ორი კვირის შემდეგ კი არა, სამი კვირის თავზე, 15 მარტს გაიმართება.



ვიტორ ბაიამ „პორტუს" ფრე შეუნარჩუნა

# ფიფამ საქართველოს ორი გოლი აჩუქა

## რა განსხვავებაა ჟორდანიას და კოლოსკოვს შორის?




ვიდრე მერაბ ჟორდანია ფიფა-უეფას დახმარების პროექტებზე იტყოდა, მას არც ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგისა და ფედერაციის გენმდივნის ვალერი ჩოლარიას მისამართით მადლობის თქმა დავიწყებია. ქომაგთა ლიგას პრეზიდენტმა თბილი სიტყვები 15 თებერვალს, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის დღის ღირსეულად აღნიშვნისთვის უთხრა, ჩოლარიას კი ზემოთქმული პროექტების აღდგენის საქმეში ყოჩაღობისთვის...

— მაშინ, როცა ვალერი ჩოლარია ჩემი დაჟინებული თხოვნით დაბრუნდა, ფედერაცია სავალალო მდგომარეობაში იყო. ფიფა-უეფადან შეჩერებული გვქონდა ყველანაირი დახმარების პროექტი, რაც ჩვენი ფეხბურთის განვითარებაზე მნიშვნელოვნად აისახა. ახლა კი, ჩოლარიას ფედერაციაში დაბრუნებიდან ოთხი თვის თავზე, შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა ის შეჩერებული პროექტი ასი პროცენტით აღდგენილია. მეტიც, საქართველო არის ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც პროგრამა „გოლი 2"-ის დახმარებას მიიღებს. ეს საკითხი 17 თებერვალს ფიფას პროგრამა „გოლის" ბიუროს სხდომაზე გადაწყდა. არადა, ფიფას გადაწყვეტილიც კი ჰქონდა, რომ 2006 წლის კონგრესამდე და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ევროპის ქვეყნებისთვის დახმარება შეეჩერებინა.

...უეფას პროგრამა „ჰეთ-თრიქით", ფიფას „გოლითა" და „გოლი 2"-ით მიღებული დახმარება, რა თქმა უნდა, მთლიანად ჩვენი ფეხბურთის განვითარების საქმეს მოხმარდება. უახლოეს მომავალში დავიწყებთ რეგიონული ფედერაციებისთვის ოფისებისა და თანამედროვე სტანდარტების მინი-მოედნების მშენებლობას. შესაბამისად, მომრავლდება ბავშვთა საფეხბურთო სკოლებიც. ძალიან მალე საქართველოს ნაკრების ბაზაზე შევიტანთ თანამედროვე სპორტულ-ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ჩვენთან შეთანხმებით საფრანგეთში უკვე შეიძინა და როცა ჩამოვა, ჩამოიტანს. ბაზაზე დავიწყებთ მოედნების შეკეთებასაც. ორი მოედანი სტანდარტული ზომის იქნება, მათგან ერთზე კი მეოთხე თაობის ხელოვნური საფარი დაიგება. იქვე გაკეთდება მესამეც, ოღონდ ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედანი.

...26 და 30 მარტს საქართველოს ნაკრებს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩები ელის. ამ შეხვედრებისთვის თითქმის ყველა საორგანიზაციო საკითხი უკვე მოგვარებულია. ახლავე მსურს ვთქვა, რომ ქომაგთა მხრიდან ისეთი ქცევა თუ იქნება, როგორიც ლიტვასთან ამასწინანდელი თამაშისას იყო, ჩვენს ნაკრებს სერიოზული პრობლემები შეექმნება. სტუმრების ღირსეულად დასახვედრად და მატჩების ორგანიზებისთვის უსაფრთხოების მაქსიმალურ ზომებს მივიღებთ.



მეოთხე თაობის ხელოვნური საფარი

...საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ალენ ჟირესთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებას საბერძნეთ-თურქეთთან მატჩების შემდეგ დავიწყებთ და ვიმედოვნებ, წარმატებით დავამთავრებთ.

...უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი ერიხ ეპლე ახლა ერთ-ერთ სერიოზულ კომპანიაში მუშაობს და შესაძლოა, ავლაბარში მდებარე „ოლიმპის" სტადიონის რეკონსტრუქცია სწორედ მისმა კომპანიამ ჩაუტაროს. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

...საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი, გადასახადების ჩაუთვლელად, მთლიანად ჩვენი ნაკრების პრემიას მოხმარდება. ვფიქრობთ, რომ ეს სოლიდური თანხა იქნება. ოღონდ ეროვნულმა გუნდმა მოიგოს და... აქვე გეტყვით, რომ ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების ყველა გასვლითი მატჩის ხარჯებს ფიფა იკისრებს.

...მერაბ ჟორდანია გადადგებაო, გადადგომას აიძულებენო, ასეთი ხმები პირველად არ მესმის. ასე რომ, მსგავსი განცხადებები ჩემთვის მოულოდნელი არ არის. მართალია, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფეხბურთი სპორტის 13 პრიორიტეტულ სახეობას შორის არ შეუტანია, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგი და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს ოლიმპიურ კომიტეტთან და მის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან. ახლა სწორედ „დინამოდან" მიღებული წერილი გადმომცეს, კლუბი მზადაა, დიღმის საწვრთნელი ბაზა საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებისთვის მოსამზადებლად საქართველოს ნაკრებს დაუთმოს. „დინამოს" პრეზიდენტიც ხომ ბადრი პატარკაციშვილი გახლავთ...

...რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი ჩემი უფროსი მეგობარია, ზოგ საკითხებში მისგან ბევრიც ვისწავლე და გეტყვით, რომ თავისი პოსტი მან ასაკის გამო დატოვა. ის ახლა ფიფაში და უეფაში განაგრძობს მუშაობას და დარწმუნებული ვარ, ისეთივე გავლენიანი იქნება, როგორიც აქამდე იყო. მე კი კოლოსკოვის ასაკამდე ბევრი მიკლია.

**ქობა ინასარიძე**



# გოგიტა გოგუამ ხიმკი ირჩია

**დღეს** „თბილისის" 21 წლის შუახაზელი გოგიტა გოგუა მოსკოვში მიდის, რათა რუსეთის პირველდივიზიონელ „ხიმკისთან" კონტრაქტი გააფორმოს.

გოგუა, ვინც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში ეროვნულ ნაკრებში ათამაშა, ამსტერდამის „აიაქსს" აღარ დაუცდის. „ამ ეტაპზე მირჩევნია, რომ „ხიმკიში" ვიყო. კონტრაქტის პირობებზე მოსკოვში დავილაპარაკებთ და ალბათ ხელშეკრულებაში შევა ის პუნქტიც, რომ თუ „აიაქსი" ან სხვა გუნდი ჩემ აყვანას მოისურვებს, „ხიმკი" ხელს არ შემიშლის" — გვითხრა გოგუამ.

შეგახსენებთ, რომ ჟირესსა და „აიაქსის" სელექციონერ რუდი კროლს შორის სატელეფონო საუბარი ლიტვასთან მატჩამდე შედგა და კროლს გოგუას სანაკრებო თამაშის ნახვაც სურდა, თუმც ჰოლანდიელმა თბილისური ვიზიტი მარტის ბოლოსთვის გადადო.

„ხიმკი" ახლა თურქულ შეკრებაზეა და გოგუა მოსკოვში კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ სწორედ თურქეთში ჩააკითხავს ახალ გუნდს.

**დავით თავართქილაძე**

## თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაიგვიანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net





გაფარ კოპალიანის ფოტო

# ლოკომოტივმა ქართული გოლებით მოიგო

**ესპანურ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" მალხაზ ასათიანის და მიხეილ აშვეთიას გოლებით 2:1 მოუგო ნორვეგიულ „ჰამარკამერატენეს"**

**საინტერესოა,** რომ იური სიომინმა ასათიანი ნახევარდაცვაში ათამაშა, რითაც ჩვენებური განებივრებული ნამდვილად არ არის. ათამაშა და, ასათიანმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ მისი საქმე შეტევის დაწყებაა და არა ჩაშლა, თუმც რუსი ჟურნალისტები მცველ ასათიანითაც აღფრთოვანებულები არიან.

„სიომინს გუნდში ნამდვილი მარგალიტი ჰყავს. შემტევი ფეხბურთელის მცველად ასე იდეალური გარდაქმნა აქამდე არსად გვინახავს. ასათიანი ის კაცია, ვისი იმედიც შეგიძლია ყველგან და ყოველთვის გქონდეს. თუ არ გჯერათ, ჯერ „ლოკომოტივის" თამაშები ნახეთ და მერე საქართველოს ნაკრების. განსხვავება მხოლოდ ამპლუებშია, თორემ ასათიანი ორივეგან საუკეთესოა" — ეს ციტატა რუსული „სპორტ-ექსპრესიდანაა".

„ჰამარკამერატენესთან" მატჩს დავუბრუნდეთ. სიომინმა ძირითადში ორი ქართველი, მათე ღვინიანიძე და მიხეილ აშვეთია დააყენა. ღვინიანიძე მწვრთნელმა პირველი ტაიმის მერე სწორედ ასათიანით შეცვალა, აშვეთიამ კი 90 წუთი ითამაშა, რაც უთუოდ გამოსარჩევი ამბავია — ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მიხომ აქამდე ერთადერთხელ, 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა სრულად. მოკლედ, აშვეთია ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას და ვინძლო მარტის ბოლოსკენ ძველებურად ათამაშდეს. ამ დროს ხომ საქართველოს ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი ჯახი ელის საბერძნეთთან და თურქეთთან.-

აქვე კი მალხაზ ასათიანის მცირე ინტერვიუს შემოგთავაზებთ. გუშინ ესპანეთში რომ დავუკავშირდით, ვარჯიშისგან დაქანცულს ბევრი ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და ჩვენც ზედმეტად არ შევაწუხებია...

— ისეთი დატვირთვები გვაქვს, ვერც წარმოიდგენთ. მართალია, ამხანაგურ მატჩებსაც ვთამაშობთ, მაგრამ ვარჯიშები ამით სულაც არ შეგვმსუბუქებია.

— „ჰამარკამერატენესთან" მატჩში მოულოდნელად ნახევარდაცვაში ითამაშე...

— სიომინმა ასე გადაწყვიტა და, ცხადია, საწინააღმდეგო არაფერი მქონია, მაგრამ მთლად შემტევიც არ ვყოფილვარ, საყრდენი ნახევარმცველი ვიყავი.

— როგორ გგონია, პოზიციის შეცვლა დროებითია?

— არ ვიცი, შეკრებაზე უკვე მეორედ ვითამაშე ნახევარდაცვაში. რას გადაწყვეტს სიომინი, ძნელი სათქმელია. როგორც იტყვის, ისე იქნება.

— მოსკოვში როდის ბრუნდებით?

— 1 მარტს ვამთავრებთ შეკრებას. მერე კი სეზონიც იწყება.

**კახა ზალამბერიძე**



გაფარ კოპალიანის ფოტო

# პლატინი თურქეთთან გვნახავს

**როგორც იქნა,** საბოლოოდ გადაწყდა — 30 მარტს თბილისში ფიფასა და უეფას აღმასკომების წევრი მიშელ პლატინი ჩამოვა. როგორც იქნაო, ვამბობთ, რადგანაც თითქმის ერთი წელიწადია, ჩვენთან პლატინის სტუმრობაზეა ლაპარაკი და აქამდე მისი ვიზიტის თარიღი დაუზუსტებელი იყო.

ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის თუ ფეხბურთის ფედერაციის რომელიმე მაღალჩინოსნის პრესკონფერენციასაც კი არ ჩაუვლია პლატინის შესაძლო ჩამოსვლის თარიღის უკითხავად, პასუხი ყოველთვის ასეთი იყო — ჩამოვა.

ორიოდ დღის წინ მიშელ პლატინიმ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას აცნობა, რომ ის თბილისში 30 მარტს პარიზიდან ჩამოფრინდება. ფრანგი საქართველო — თურქეთის შესარჩევ მატჩს დაესწრება, მოინახულებს ფედერაციის ოფისს, „დინამოს" და ეროვნული გუნდის საწვრთნელ ბაზებს და 1 აპრილს უკან გაემგზავრება.

ჯერჯერობით უცნობია, შეხვდება თუ არა მიშელ პლატინი საქართველოს პრეზიდენტს, თუმც ეს ამბავი მოსალოდნელი კი არის. თუ გახსოვთ, შარშან საფრანგეთში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილმა პლატინი დიდი პატივით მიიღო და საკმაო ხანს ესაუბრა.





სხვათა შორის, სწორედ პლატინის რეკომენდაციითაა ალენ ჟირესი დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი.

**კობა ინასარიძე**

# ბერძნებ — თურქებთან ელიტა გვიმსაჯებს

**ერთი თვეც** გაირბენს და მუნდიალის შესარჩევი მატჩებიც განახლდება, თანაც, საქართველოსთვის რა მატჩები: 26 მარტს ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი გვსტუმრობს, ოთხ დღეში კი წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი თურქეთიც გვეწვევა და დიდწილად სწორედ ამათთან ჯახი გაარკვევს, რეალურად შეგვიძლია თუ არა გერმანიისკენ მიმავალ მატარებელზე შეხტომა.

ამ მატჩებს რომ ევროპაში საკმაო ინტერესი ახლავს, ფიფას მიერ დანიშნული მსაჯების ავტორიტეტიდანაც ჩანს: საქართველო — საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრას ცნობილი იტალიელი რობერტო როსეტი განსჯის, თურქებთან კი არანაკლებ სახელიანი, ნორვეგიელი ტერი ჰაუგე გვიმსაჯებს.

**საქართველო — საბერძნეთი**
(ეროვნული ნაკრებები)
26 მარტი. „ლოკომოტივი". 20.30 საათი
**მსაჯები:** რ. როსეტი, მ. ივალდი, ა. გრისელი; პ. როდომონტი (ყველა იტალია)
**ინსპექტორი:** მ. ფერნანდესი (ესპანეთი)
**ფიფას დელეგატი:** რ. სტერქსი (ბელგია)

**საქართველო — საბერძნეთი**
(ახალგაზრდული ნაკრებები)
25 მარტი. „ეროვნული". 16 საათი.
**მსაჯები:** ჩ. რიჩმონდი, ჯ. ლიონი, ჯ. ბი; ბ. ვინტერი (ყველა შოტლანდია)

**საქართველო — თურქეთი**
(ეროვნული ნაკრებები)
30 მარტი. „ლოკომოტივი". 20.30 საათი
**მსაჯები:** ტ. ჰაუგე, ს. ჰოლვიკი, ა. სანდეტი; ტ. სკიერვენი (ყველა ნორვეგია)
**ინსპექტორი:** ვ. საინი (სლოვენია)
**ფიფას დელეგატი:** პ. ალაია (ფინეთი)

**საქართველო — თურქეთი**
(ახალგაზრდული ნაკრებები)
29 მარტი. „ეროვნული". 16 საათი
**მსაჯები:** კ. კოსტადინოვი, ვ. გავრილოვი, დ. ბეილტზალიევი; რ. მირიანოვი (ყველა ბულგარეთი)

# ჩივაძეს ორი ქართველი ეცოტავა

## კობიაშვილი და არველაძე არ დაგვიჩაგროთ...

*8 მაისს მოსკოვის „ლუჟნიკზე" მაგარი სახალისო თამაში გაიმართება. იმ ამხანაგურ მატჩს ვგულისხმობთ, რომელშიც ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს უნდა შეხვდეს და, რომლის არსიც ასეთია — 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავია. ეს მატჩი ფიფას პატრონაჟით გაიმართება და, ცხადია, „ლუჟნიკზე" ზეპ ბლატერი და მისი ამქრობაც მოიკალათებენ*

უკვე ვწერდით, რომ „საბჭოეთის" ნაკრებს ოლეგ ბლოხინი და ალექსანდრე ჩივაძე უთავკაცებენ, ხოლო მსოფლიოს ნაკრებს საფრანგეთის ნაკრებისა და „ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი ჟერარ ულიე. რუსეთის ფეხბურთის კავშირის ჯერაც პირველკაცმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ყოფილი საბჭოეთის 15-ივე ქვეყნის ფედერაციებს სთხოვა, თქვენი ფეხბურთელები შეგვირჩიეთო. ნაკრები 20-კაციანი იქნება და თითო ქვეყნიდან თითო ფეხბურთელს შეარჩევენ, გარდა რუსეთ-უკრაინა-საქართველო-ბელარუსისა — ამ ოთხეულმა პრივილეგია, ცხადია, იმით დაიმსახურა, რომ საბჭოთა კავშირში საფეხბურთო აღლუმი მიჰყავდათ.

ექსსაბჭოეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ორი ქართველია — კახა კალაძე და მალხაზ ასათიანი. რუსეთის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკიტა სიმონიანმა ალექსანდრე ჩივაძეს ეს სია წერილობით გამოუგზავნა, თუ რაიმე შენიშვნები გაქვთ, გვაცნობეთ, მერე კი თქვენთან და ბლოხინთან ერთად მოვითათბიროთო. ბატონმა საშამ კი სიმონიანს მისწერა, ორი ქართველი ცოტაა, ამ ნაკრებში შოთა არველაძე და ლევან კობიაშვილიც იმსახურებენ მოხვედრასო.

ჩივაძემ მსოფლიოს ნაკრების მისეული ოპტიმალური შემადგენლობაც გაუგზავნა სიმონიანს. სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვარსკვლავთკრებულის ვერსია ასეთია:

***მეკარეები:*** *დიდა, ჩეხი, კანი, კასილიასი;*

***მცველები:*** *კაფუ, ნესტა, მალდინი, რობერტო კარლოსი, დელასი, სტამი, ფერდინანდი, კემპბელი;*

***ნახევარმცველები:*** *ზიდანი, ფიგუ, ბექჰემი, კაკა, ნედვედი, ბალაკი, ლამპარდი, ტოტი;*

***თავდამსხმელები:*** *რონალდო, ადრიანო, რონალდინიო, ეტოო, ანრი.*

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილიონებს აქ ისე ხარჯავენ, როგორც არაფერი

## გოგობერიშვილს აზერბაიჯანში დარდი გაჰყვა



*27 წლის ალექსანდრე გოგობერიშვილმა მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ განიზრახა თბილისის „ლოკომოტივის“ დატოვება და სამუასეზონო პერიოდში დამოუკიდებლად ვარჯიშობდა. თუმც ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ მატჩში მაინც ითამაშა „ლოკომოტივში“ „ტორპედოს“ წინააღმდეგ და შემდეგ აზერბაიჯანის „ბაკიში“ აღმოჩნდა. გოგობერიშვილს გუშინ დავუკავშირდით ბაქოში...*

— „ბაკის“ პირობებზე უკვე შევუთანხმდი და აზერბაიჯანის ჩემპიონატის მომდევნო ტურში ალბათ ვითამაშებ კიდეც. კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია, მაგრამ ეს უბრალოდ დროის ამბავია. გუნდში უკვე მომცეს მაისურა — მე-14 ნომერი.

— რამდენ ხანს დარჩები „ბაკიში“?

— სეზონის ბოლომდე, მაისამდე.

— მერე რა გეგმები გაქვს?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, არ არის გამორიცხული, რომ „ბაკიში“ კიდევ უფრო დიდი ხნით დავრჩე.

— „ლოკომოტივმა“ ტრანსფერით გაგიშვა?

— არა, „ბაკიში“ განათხოვრებული ვარ, „ლოკომოტივთან“ კი კონტრაქტი მაისში მეწურება.

— რატომ მაინცდამაინც „ბაკი“?

— ასე მიჯობდა, „ბაკიმ“ კარგი პირობები შემომთავაზა.

— ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში გათამაშა — როგორ ფიქრობ, აზერბაიჯანში მოთამაშე გოგობერიშვილს კვლავ გამოიძახებენ ეროვნულ ნაკრებში?

— ეს საკითხი დარდად გამომყვა აზერბაიჯანში, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატი ქართულს ჩამოუვარდება, შესაძლოა, აღემატება კიდეც. აქ ფეხბურთის ნამდვილი ბუმია და ბევრი ლეგიონერიც თამაშობს, მათ შორის თურქეთიდან, ყოფილი იუგოსლავიიდან და ბრაზილიიდან. მაგალითად, „ბაკიში“ ხუთი ბრაზილიელია. აზერბაიჯანის ჩემპიონატის მატჩებზე კარგი დასწრებაა, თითქმის ყველა თამაშზე 10-15 ათასი მაყურებელი მოდის, ხანდახან უფრო მეტიც.

— აზერბაიჯანში საფეხბურთო კლუბებს დიდი საგადასახადო შეღავათები აქვთ...

— ეგრეა და, აქ მილიონებს ისე ახარჯავენ კლუბებს, როგორც არაფერი. აზერბაიჯანში ძალიან უნდათ, რომ ფეხბურთი ფეხზე დააყენონ, ისე, როგორც ეს თავის დროზე თურქეთში მოხდა.

— „ბაკის“ რა მიზნები აქვს?

— მე-3-მე-4 ადგილებზე ვართ და კლუბს უკეთესი უნდა, თასის ნახევარფინალისტებიც ვართ.

**დავით თავართქილაძე**

# მოდებაძემ უეფა ვენტსპილსში გამოცადა

**ლატვიური** „ვენტსპილსი“ თანდათან უფრო საინტერესო გუნდი ხდება ჩვენთვის. ბალტიისპირელებმა უკვე ოფიციალურად შეიმატეს „ბათუმისა“ და „თბილისის“ ყოფილი თავდამსხმელი გოგა მოდებაძე, რომელიც „ვენტსპილსს“ ორიოდ კვირის წინ შეუერთდა და საკონტროლო მატჩებში თავი ისე გამოიჩინა, რომ უმალ კონტრაქტი გაუფორმეს. ლატვიაში მასთან ერთად წასული ლაშა ჩხაიძე კი საქართველოში დაბრუნდა და ბოლნისის „სიონს“ შეეკედლა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვენტსპილსში“ უკვე მეორე სეზონია, საქართველოს ნაკრების კანდიდატი ალექსანდრე რეხვიაშვილი თამაშობს და ცოტა ხნის წინ ის გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს.



**ამიერიდან გოგა მოდებაძე „ვენტსპილსისთვის“ გაიტანს**

„ვენტსპილსი“ ახლა თურქეთშია და იქ ემზადება საახალსეზონოდ. გუშინწინ ვენტსპილსელები ჩვენთვის კარგად ნაცნობ პოლონურ „ლეგიას“ გაეჯიბრნენ ამხანაგურად და 2:3 დამარცხდნენ. ლატვიელთა პირველი გოლი მოდებაძემ გაიტანა. საინტერესოა, რომ გოგას გასულ ზაფხულს „თბილისის“ შემადგენლობაში უეფას თასზეც შეეძლო „ლეგიას“ წინააღმდეგ თამაში, თუმც მაშინ მოედანზე გასვლის საშუალება არ მიეცა — სათადარიგო იყო.

„ვენტსპილსი“ თურქეთში კიდევ ერთ ტესტ-მატჩს გამართავს ბელარუსულ „შახტიორთან“ და შეკრებასაც ამით დაასრულებს.

**კახა შალამბერიძე**

# გივი კვარაცხელიამ და კაუნასმა ერთმანეთი იპოვეს



„თბილისმა“ რომ ამ ზამთარს 21 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, სამი-ოთხი გამოცდილი კაცი მაინც დაიტოვა — თითო რგოლში თითო ლიდერი გვჭირდებაო. მათ შორის იყო საქართველოს ნაკრების წევრი გივი კვარაცხელიაც, რომელმაც ჩემპიონატის მე-19 ტურში „ზესტაფონთან“ ითამაშა კიდეც. თუმცა გივი „თბილისიდან“ წასვლას ეშურებოდა. ერთხანს სწორედ „ზესტაფონში“ მის გადასვლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ტანმაღალმა მცველმა უცხოური გუნდი მოიძია...

**მოკლედ**, დღეს კვარაცხელია ლიტვაში ჩავა და „კაუნასში“ ყოველგვარი გასინჯვის გარეშე ჩაირიცხება. აი, რა გვითხრა მან: „კაუნასზე“ ლაპარაკი თანამეგობრობის თასის წლევანდელი გათამაშებისას დაიწყო. როგორც იცით, ეს გუნდი „თბილისთან“ ერთად იყო ჯგუფში. კაუნასელთა მთავარი მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი ჩემით დაინტერესდა და მაშინვე შემეძლო იქ გადასვლა, მაგრამ თავი შევიკავე, იმ დროს ხომ „თბილისი“ ჯერ არ იყო დაშლილი... სიმართლე გითხრათ, ამდენი ფეხბურთელი რომ არ წასულიყო „თბილისიდან“, ლიტვაში არ გადავიდოდი. მეორე მხრივ, საქართველოს ჩემპიონატიდან რომ პირდაპირ „მანჩესტერში“ ვერ მოვხვდებოდი, ესეც კარგად ვიცოდი“.

კვარაცხელიამ ისიც თქვა, რომ „ზესტაფონის“ ვარიანტი თავად იუარა, არ მინდოდა იქ გადასვლაო.

„კაუნასზე“ კი იმას ვიტყვით, რომ ეს გუნდი ლიტვაში უდავოდ საუკეთესოა, ბოლო სამი წელია, ქვეყნის ჩემპიონობას არავის უთმობს და ლიტვის ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრებების რამდენიმე ფეხბურთელიც ჰყავს. კვარაცხელიასთვის ბალტიისპირეთში თამაში უცხო არაა, რამდენიმე წლის წინ იგი ლატვიურ „სკონტოში“ ირიცხებოდა.

**ილია ნანობაშვილი**


**ვიყიდი**

თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)

ტელ: 8 99 241266


# მხოლოდ ფეხბურთი

## ჟღალი ჩოის ნამდვილი ამბავი



**„თბილისის“** კორეელ შემტევ მინ ჩოის საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ერთი კვირის წინ ჰქონდა — „ზესტაფონთან“ მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე და საკმაოდ ნორმალურადაც წარმოაჩინა თავი. ვინ არის მინ ჩოი? რამ ჩამოიყვანა ეს კორეელი ჯეელი საქართველოში?

მინ ჩოი 18 წლისაა და თმები ჟღალად შეუღებავს, სასტუმრო „აჭარაში“ ცხოვრობს და არაფერზე არ წუწუნებს. „თბილისამდე“ ის პერუში თამაშობდა, ერთ-ერთ იქაურ წამყვან კლუბ „უნივერსიტარიოში“, აქ კი „თბილისის“ პერუელი მწვრთნელის ლუის ცაკარიასის მეშვეობით აღმოჩნდა.

„15 წლის ვიყავი, როცა სამშობლოდან ძალიან შორს, არგენტინაში წავედი. „რივერ პლეიტის“ იუნიორთა გუნდში მოვხვდი, საიდანაც პერუში გადავბარგდი და „უნივერსიტარიოში“ სამი წელი დავყავი. სულელი უნდა ვყოფილიყავი, „რივერ პლეიტში“ რომ დავრჩენილიყავი, რადგან იქ პირველ გუნდში მოხვედრის შანსი ძალიან მცირე იყო“ — გვიყვება საკუთარ ამბავს მინ ჩოი.

არგენტინა და პერუ ერთია, მაგრამ საქართველოდან ევროპულ გუნდში გადასვლის პერსპექტივა უფრო დიდია. „თუ საქართველოდან ევროპაში გავიჭრები, ამას რა სჯობია?!“— გვითხრა ჟღალთმიანმა აზიელმა.

და როგორ ეგუება ის თბილისში ცხოვრებას? მინ ჩოი ამბობს, რომ თბილისი მოსწონს და არაფერს უჩივის. „თბილისში“ კი მინ ჩოი პირველად შარშანდელ ზამთარში გამოჩნდა, მაგრამ გუნდში ვერ დამკვიდრდა.

„მაშინ ტრავმა მაწუხებდა და „თბილისში“ ამიტომ ვერ ჩავირიცხე, ახლა კი კარგ ფორმაში ვარ“ — ირწმუნება წვრილთვალება თბილისელი.

მინ ჩოიმ ისიც გვითხრა, რომ რონალდინიოს ფანია, ხოლო თანამემამულეთაგან ყველას ბუმ კუნ ჩა ურჩევნია, ვინც 80-იან წლებში ბუნდესლიგაში თამაშობდა: „ჩემს სამშობლოში ყველა გეტყვით, რომ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ბუმ კუნ ჩაა“.

ჩოის სამშობლოში ცხოვრების დონე საქართველოზე ბევრად მაღალი რომაა, აბა, ვინ არ იცის, მაგრამ ჩოიმ მოხეტიალე ფეხბურთელის ძნელი გზა არჩია სწავლასა და კარიერას. „იმიტომ, რომ მე მხოლოდ ფეხბურთი მაინტერესებს“ — განგვიმარტა ჩოიმ.

რაც შეეხება კორეულ ფეხბურთს, ჩოი ამბობს, რომ გულშემატკივრები ეროვნული ნაკრების მწვრთნელად რომელიმე ჰოლანდიელი სპეციალისტის დანიშვნას ითხოვენ, მხოლოდ ჰოლანდიელის, რადგან გუს ჰიდინკს ძალიან ემადლიერებიან, 2002 წლის მუნდიალზე ნაკრები ნახევარფინალში რომ გაიყვანა.

მინ ჩოის ისიც ვკითხეთ, როგორ შეადარებდა პერუულ და ქართულ ჩემპიონატებს.

„პერუში ძალიან ძლიერი ლიგაა, მაგრამ საქართველოში უფრო ჯიგრიანად თამაშობენ ფეხბურთს“ — მინ ჩოის ესპანური ნათქვამი ქართულად ასეც შეიძლება ითარგმნოს.

**დავით თავართქილაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. 80 000 მაყურებელი

## რეალი 1:0 იუვენტუსი

1:0 ელგერა (31)

| | |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო (რაულ ბრავო 9), ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გრავესენი, ზიდანი, რაული, რონალდო (ოუენი 76) | ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (ტაკინარდი 69), ნედვედი (ოლივერა 37), დელ პიერო (ზალაიეტა 81), იბრაჰიმოვიჩი |
| მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო | მწვრთნელი: ფაბიო კაპელო |

გაფრთხილება: ტურამი, რობერტო კარლოსი, ოლივერა, გრავესენი, ბლაზი, სამუელი, დელ პიერო, ტაკინარდი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

## ასეც ხდება, ბურთიც სკდება
## ნედვედმა დატორა და დაიტორა

**„სანტიაგო ბერნაბეუზე“**, თავსხმა წვიმაში გამართულ შეხვედრაში მომხდარი საინტერესო ამბები შეგვიძლია უბრალოდ ჩამოვთვალოთ:

უპირველეს ყოვლისა, ქორწილის შემდეგ „რეალის“ შემადგენლობაში დაბრუნდა რონალდო, რომელმაც ცდა არ დააკლო „იუვენტუსის“ კარი რომ დაელაშქრა, მაგრამ როგორც ჩანს, ცოლის მოყვანამ მასზე, ყოველ შემთხვევაში ამ დღეებში მაინც, ცუდად იმოქმედა, რადგან ერთი-ორ ეპიზოდში ფენომენალურად ვერ მოიქცა. „ნამდვილი“ რონალდო კი იმ ეპიზოდებს სხვანაირად მოუვლიდა.

მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგის ბოლო შეხვედრასთან (ჯგუფურ ეტაპზე „რომას“ წინააღმდეგ) შედარებით, ერთადერთი ფეხბურთელი ჰყავდათ შეცვლილი — ნახევარდაცვის შუაში გუტის მაგივრად დანიელი თომას გრავესენი ტრიალებდა და უნდა გითხრათ, რომ მისი ყოფნა „ელ გალაქტიკოს“ ძალიან კარგად დააჩნდა. განსხვავება იყო ისიც, რომ მაშინ „რეალს“ მარიანო გარსია რემონი წვრთნიდა, ახლა კი ვანდერლეი ლუშემბურგო უდგას სათავეში.

„იუვენტუსს“ გრიპის გამო არ ჰყავდა ფრანგი დავიდ ტრეზეგე, მაგრამ ჰყავდა ტრავმამოშუშებული ლიდერი პაველ ნედვედი, რომელსაც ფრიად უცნაური შემთხვევა არგუნა ბედმა: ჯერ იყო და, დაიწყო თუ არა მატჩი, მისი ზედმეტად მგზნებარე მოქმედების გამო დაშავდა და მოედნიდან გასასვლელი შეიქნა მადრიდელი მიჩელ სალგადო, ხოლო შემდეგ, ტაიმის დასრულება არ ეწადა, ბურთისთვის ბრძოლაში თავით მისივე დაშავებული სალგადოს მაგივრად შესული რაულ ბრავოს თავს შეასკდა და მოედნიდან თავად გაიყვანეს საკაცით.

31-ე წუთზე, მადრიდელთა შეტევის მარცხენა ფრთაზე ზინედინ ზიდანმა მაურო კამორანეზის ჩამოტოვება სცადა, კამორანეზი ფეხებში ჩაუწვა, ზიდანი გადაახტა, მაგრამ წაიქცა. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, მსაჯს „იუვეს“ დაჯარიმება შეეშალა, „რეალმა“ კი ჯარიმა ასე გაათამაშა: დევიდ ბექემმა საჯარიმოში ჩააწოდა, ხოლო ივან ელგერა ახტა და თავურით ჯანლუიჯი ბუფონს შორეულ ცხრიანში მატჩის ერთადერთი გოლი გაუტანა.


REUTERS მადრიდიდან
პაველ ნედვედი (მარცხნივ) ივან ელგერას გოლის მერე დაიმტვრა

მადრიდელებმა ორჯერ გაარტყეს ძელს ბურთი — ერთხელ ეს რაულმა ჰქნა, ხოლო მეორედ, მეორე ტაიმში, ვალტერ სამუელმა. რაულს მარცხენა ფრთიდან რობერტო კარლოსმა სწრაფ, დინამიკურ კომბინაციაში ფეხზე ჩააწოდა ბურთი, ხოლო სამუელის მომენტი კუთხურის შემდეგ თავით დარტყმის შედეგი იყო.

საინტერესო გახლდათ ის ეპიზოდიც, როდესაც „იუვენტუსის“ შეტევის დროს, მასპინძელთა საჯარიმოში ზლატან იბრაჰიმოვიჩის დარტყმული ბურთი ელგერას ბუცს მოხვდა და... გასკდა.

ვანდერლეი ლუშემბურგო, „რეალის“ მწვრთნელი: „თამაშით კმაყოფილი ვარ. რომ გავიმარჯვეთ, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მეორე ველარ შევაგდეთ. არა უშავს, ეს შედეგი მაგალითად, 2:1-ს მაინც სჯობს. ვარჯიშების დროს კი სივრცეების გამონთავისუფლებაზე ვმუშაობდით ძალიან ბევრს, რადგნ ვიცოდით, რომ „იუვენტუსთან“ ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ტურინელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცვაზე გაამახვილეს ყურადღება და კონტრშეტევისთვის ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს. პერიოდულად მათი დაცვა რიცხობრივ უპირატესობაზე იყო აგებული.

რაც შეეხება ნედვედის ტრავმას, ის „იუვესთვის“, რასაკვირველია, დიდი დანაკარგი იყო. საერთოდაც, ჩეხი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენც დავკარგეთ მიჩელ სალგადო.

ახლა ტურინში გველის მძიმე მატჩი, რომლის წინ მცირე უპირატესობაც გვაქვს, მაგრამ ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ფაქტია, რომ ყველაფერი „დელე ალპიზე“ გადაწყდება“.

ფაბიო კაპელო, „იუვენტუსის“ მწვრთნელი: „წაგების მიუხედავად, 0:1 ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის. საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, თუმცა ორი ცუდი ეპიზოდი გვქონდა — ერთი, რომ გოლი გავუშვით და მეორე, ვალტერ სამუელმა ძელს რომ გაგვირტყა ბურთი. ეს დაცვის შეცდომა იყო. ნებისმიერი ჯარიმის დროს თითოეული მადრიდელი უნდა ყოფილიყო მჭიდრო მეთვალყურეობის ქვეშ. დაგვაბრკოლა ნედვედის ტრავმამაც, რადგან მის გარეშე თამაშს დაჩვეული არ ვართ, გადაწყობა ძალიან გაგვიჭირდა“.

**პაპუნა ძიდია**

---

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. 40 942 მაყურებელი

## ლივერპული 3:1 ლევერკუზენი

1:0 ლუის გარსია (15), 2:0 რიისე (35), 3:0 ჰამანი (90), 3:1 ფრანცა (90)

| | |
|---|---|
| დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, კარაგერი, ტრაორე, ლუის გარსია, ბიშკანი, ჰამანი, რიისე (შმიცერი 90), კიუელი (ლე ტალეკი 77), ბაროში (პოტერი 86) | ბუტი, შნაიდერი, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი (ბიროფკა 83), პონტე (დონოვანი 69), კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 69) |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი | მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი |

გაფრთხილება: ფრაიერი, დუდეკი, პონტე, ჰამანი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

## გერმანელმა გერმანელი მოკლა
## ჯერარდი ძალაა


REUTERS ლივერპულიდან
დიტმარ ჰამანმა თანამემამულეებს ჯარიმიდან შეუგდო

**როგორც კი** ფეხბურთელები მინდორზე გამოჩნდნენ, „ენფილდი“ მაშინვე აგუგუნდა და მატჩის დამთავრებამდე არ გაჩერებულა. ალბათ, სწორედ ამან დააბნია გერმანელები, რომლებიც თავიანთ ჩინებულ შანსებს ვერ იყენებდნენ და „ლივერპულმაც“, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობის მხრივ პრობლემები ჰქონდა, სასურველი ანგარიშით გამარჯვება შეძლო.

სტუმრებმა კარგად დაიწყეს და ორი სახიფათო იერიშიც განახორციელეს. მერსისაიდელებმა კი პირველივე მეტ-ნაკლებად აზრიანი შეტევა გოლით დაასრულეს — ფინანმა მშვენიერი პასი გაუჭრა ლუის გარსიას, გერმანელებმა ვერც ხელოვნური თამაშგარე შექმნეს და ვერც ესპანელი აიყვანეს, გარსიამაც ფეხებშუა გაუტანა ბუტს.

აქედან ცოტა ხანში ფინანი კინაღამ კიდევ ერთი საგოლე პასის ავტორი გახდა — მან თავით უხეიროდ გამოიტანა ბურთი და სტუმართა დიმიტარ ბერბატოვიც დუდეკთან პირისპირ დარჩა და წესით, გოლის გატანა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ბულგარელი საქმეს ზერელედ მოეკიდა და ცუდად დაარტყა.

გერმანელები ამის მერეც განაგრძნობდნენ შეტევებს, მაგრამ გოლი კვლავ აქეთ გაუშვეს. 35-ე წუთზე სტუმართა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა, რომლის შესრულებაც იონ არნე რიისემ ითავა და გაიტანა კიდეც, თუმცა ნორვეგიელ ნახევარმცველს ბუტიც დაეხმარა — მან ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა.

მეორე ტაიმში მატჩის მსვლელობა არ შეცვლილა. გერმანელები ისევ უტევდნენ და რამდენიმე კარგი მომენტიც ჰქონდათ, თუმცა მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე არც „ლივერპული“ ფიქრობდა. ყველაზე კარგი შანსი მილან ბაროშს მიეცა, მაგრამ ჩეხის დარტყმული შემთხვევით მოხვდა ბუტს და კუთხურზე გავიდა.

მსაჯის დამატებულ მეორე წუთზე კი მასპინძლებმა კიდევ ერთი საჯარიმო აქციეს გოლად: დიტმარ ჰამანმა ჩინებული დარტყმით დაამწუხრა თანამემამულეები და თითქოს ყველაფერი გადაწყვიტა, მაგრამ აქედან ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ლივერპულელთა პოლონელ კარის დარაჯ ირჟი დუდეკს მოულოდნელად ხელებიდან დაუსხლტა ბურთი, მასთან ყველაზე ადრე ბრაზილიელი ფრანცა გაჩნდა და სხვაობა შეამცირა.

„საჯარიმო დარტყმებზე ბევრს ვმუშაობდით და დასანანია, რომ ორი გოლი სწორედ სტანდარტულებიდან გავუშვით. ვფიქრობ, ორივე გუნდმა ნორმალურად ითამაშა, მაგრამ ანგარიში „ლივერპულისთვის“ უფრო მისაღებია. ჰამანის გოლმა ფაქტობრივად, ყველა იმედი ჩაგვიკლა, მაგრამ ფრანცამ ერთი ბურთის გაქვითვა მოასწრო და შანსი დაგვიტოვა. დარწმუნებული ვარ, რომ სტივენ ჯერარდი საპასუხო შეხვედრაში დამატებით პრობლემებს შეგვიქმნის, მაგრამ მატჩი უფრო საინტერესო იქნება. მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ“ — თქვა „ლევერკუზენის“ თავკაცმა კლაუს აუგენტალერმა.

ცხადია, კოლეგისგან განსხვავებით, გახარებული იყო „ლივერპულის“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი: „ანგარიშით უკმაყოფილო არ ვარ. კარგი იქნებოდა, 3:0 მოგვეგო, მაგრამ ბოლო წამებზე კონცენტრაცია ოდნავ დავკარგეთ, თუმც დუდეკს არ ვადანაშაულებ, მან მთლიანობაში კარგად ითამაშა. უნდა გამოვარჩიო ჰარი კიუელიც, ორთვიანი ტრავმის შემდეგ მშვენივრად გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, ძალიან ოპტიმისტურად ვარ, თანაც საპასუხო მატჩში სტივ ჯერარდიც გვეყოლება“.

**გიორგი ძაძამიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები

## იმედის გოლი

### მაგათის და ვენგერის რატომ

„არსენალის“ 3:1 დამარცხება თვით მიუნხენის „ბაიერნისთვისაც“ ფრიად საშური საქმეა, მაგრამ „ოლიმპიაშტადიონის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ნამატჩევს შესული ფელიქს მაგათი იქ შეკრებილ ჟურნალისტებს ნირწამხდარი ეჩვენათ.

„ძალიან უკმაყოფილო ვარ, ვერაფრით ამიხსნია, თუ რატომ მოეშვნენ ჩემი ფეხბურთელები და რატომ არ შეეცადნენ მორალურად გატეხილი მეტოქისთვის მეოთხე გოლის გატანას — დაიჩივლა მიუნხენელთა მწვრთნელმა — რა თქმა უნდა, ლონდონში სულ სხვა თამაში იქნება, „არსენალი“ ის გუნდია, რომელსაც საკუთარ მოედანზე სამი-ოთხი ბურთის გატანა თავისუფლად შეუძლია. მატჩის ბოლოს გაშვებული გოლი, შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს“.

აი, ასე ილაპარაკა ფელიქს მაგათმა და შეუძლებელია მას არ დაეთანხმო, რადგან 88-ე წუთზე კოლო ტურეს მიერ ოლივერ კანის კარში აფართხალებულმა ბურთმა „მეთოფეებს“ ჩემპიონთა ლიგის სამეოთხედფინალო შანსი გაუცოცხლა.

არადა, მანამდე „ოლიმპიაშტადიონის“ ყინვისგან დამზრალ მოედანზე მასპინძლები ბატონობდნენ და, ალბათ, ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, დიდი ანგარიშით გამარჯვებას არ იმსახურებდნენო.

ისეთი უსახური „არსენალი“ კი, გუშინწინ რომ ვიხილეთ, ძნელად რომ ვინმემ გაიხსენოს. ასევე ძნელი გასახსენებელია ლონდონელთა დაცვის ასეთი სუსტი თამაში, სოლ კემპბელისა და ეშლი კოულის არყოფნაში „მეთოფეთა“ დაცვის ჯებირი გვარიანად დაბზარულიყო.

იენს ლემანის ლონდონურ კარიერას კი არსენ ვენგერი ალბათ დიდ წერტილს დაუსვამს. ისე გამოვიდა, თითქოს გერმანელი მეკარე საპირისპირო კარიდან ოლივერ კანმა, ტრიბუნიდან კი მის საქმეში სანახავად მისულმა ბუნდესნაკრების მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა გათვალეს.

ლემანის ცოდვა „ბაიერნის“ პერუელმა თავდამსხმელმა კლაუდიო პიზარომაც დაიდო, რომელიც მაგათმა ჰოლანდიელ როი მაკაის შეუწყვილა და როგორც გამოჩნდა,





ოლივერ კანმა იენს ლემანს სანაკრებო დუელი ჯერ საკლუბო დონეზე მოუგო

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“. 63 000 მაყურებელი

**ბაიერნი 3:1 არსენალი**

1:0, 2:0 პიზარო (4, 58), 3:0 სალიჰამიჯიჩი (65), 3:1 ტურე (88)

კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი (ჰარგრივსი 75), ფრინგსი, დემიკელისი, ზე რობერტო (შოლი 57), მაკაი, პიზარო (გერერო 68)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ლემანი, ლორენი, ტურე, სიგანი, კლიჩი (ე. კოული 83), ლიუნგბერგი (ვან პერსი 76), ვიეირა, ედუ (ფლამინი 36), პირესი, ანრი, რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: დემიკელისი, ვიეირა, ლორენი, კოვაჩი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

მიუნხენელთა თავკაცი არც შემცდარა. თამაში ხეირიანად არ გახურებულიყო, პიზარომ კოლო ტურეს საჩუქარი რომ შეირგო, არსენალელი მცველის თავით უკუგდებულ ბურთს დაშვება არ აცალა და ცაციათი მძლავრად დაარტყა, ლონდონელთა მეკარე უცნაურად ჩაიკეცა, ბურთი კი კარში შევარდა.

ასეთი დასაწყისით შეგულიანებულმა მასპინძლებმა მარწუხებს უფრო მოუჭირეს, მოედნის ცენტრში მჭიდროდ და ხისტად ათამაშდნენ. „ბაიერნის“ ნახევარმცველებთან ვერას გახდა „მეთოფეთა“ კაპიტანი პატრიკ ვიეირა და კარგა ხნის უთამაშებელი ედუ. სხვათა შორის, ბრაზილიელს ტრავმა გაუმიზეზდა და 36-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა, მის ნაცვლად კი ვენგერმა მეთიუ ფლამინი შეუშვა. ხოლო ტიერი ანრის ასევე ბრაზილიელი ლუსიო არ აძლევდა გასაქანს.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არსენალი“ თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ კვლავ პიზარომ ივარგა — შეცვლაზე შესული მეჰმეთ შოლის საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი თავით ლემანის კარში გადაგზავნა.

მერე უსახურად მოთამაშე შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგის ნაცვლად არსენ ვენგერმა ჭაბუკ ჰოლანდიელ რობინ ვან პერსის უხმო, თუმც საქმეს ამანაც ვერ უშველა. ეგ კი არა, ლონდონელებმა მესამე ბურთიც გაუშვეს და ამ გოლში უკვე ბევრჯერ ნახსენებ იენს ლემანს მიუძღვის ბრალი. „მეთოფეთა“ გოლკიპერმა ფლანგიდან ჩაწოდებული და იოლად მოსაგერიებელი ბურთი ჰასან სალიჰამიჯისკენ უკუაგდო, ბოსნიელსაც გატანა არ გასჭირვებია.

3:0-ს და ისიც „არსენალთან“, „ოლიმპიაშტადიონი“ უკვე ზეიმობდა და მეოთხე გოლს ელოდა. ზემოთაც ვთქვით, მეოთხე გოლს ელოდა ფელიქს მაგათიც, მაგრამ ყველაფერი კი პირიქით მოხდა — პატრიკ ვიეირას თავური, ძელიდან ასხლეტილი და ოლივერ კანის თვალწინ ჩაფრენილი ბურთი, იქვე ჩასაფრებული კოლო ტურე და, როგორ არსენ ვენგერმა მოგვიანებით პრესკონფერენციაზე უწოდა, იმედის გოლი.

„მე ვერ გეტყვით, თუ რატომ ვითამაშეთ დღეს ასე ცუდად. გაოგნებული ვარ. ტურეს გოლმა კი იმედი დაგვიბრუნა და „ჰაიბერიზე“ ყველანაირად ვეცდებით, ეს იმედი რეალობად ვაქციოთ“ — ესეც არსენ ვენგერის სიტყვებია.

**სოსო ქოტორეიშვილი**

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. 34 000 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 მონაკო**

1:0 ალექსი (8)

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი (ბესლი 52)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

რომა, მაიკონი, ჟ. როდრიგესი, გივე, ევრა, ზიკოსი, ბერნარდი, კალონი, პლასინი, სავიოლა, ადებაიორი (ნონდა 82)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: ფოგელი, როდრიგესი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

## ფილიპსი: ვაკეთებთ თქვენთვის

### დეშანი ფიზიკაში ჩაიჭრა





ჰოლანდიელები ბრაზილიელი ალექსის (შუაში) ერთადერთ გოლს ასე ზეიმობენ

**მატჩი** მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და გოლმაც არ დაახანა — მე-8 წუთზე მარკ ვან ბომელის ჩამოწოდებულ კუთხურს ბრაზილიელი ალექსის თავური მოჰყვა და მიწიდან ასხლეტილი ბურთი ფლავიო რომას კარის მარჯვენა ცხრიანში შევარდა.

პსვ-ს უპირატესობის გაზრდა მალევე შეეძლო. ჰოლანდიელებმა დაწოლა გააძლიერეს და პრესინგს მიმართეს, რამაც „მონაკო“ კიდევ უფრო დააბნია. თუმც ჯი-სუნგ პარკმა, ჯეფერსონ ფარფანმა და იოჰან ფოგელმა თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს.

სადებიუტო შტურმის რის ვაი-ვაგლახით გადატანის მერე კი, სტუმრებმაც გამოიღვიძეს. ხავიერ სავიოლამ და ემანუელ ადებაიორმა რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს. ტაიმის მიწურულს ანგარიშის გათანაბრება ლუკას ბერნარდისაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი კარს ზემოდან გვარიანად გადასცდა.

მეორე ნახევარი პირველის დარად დაიწყო. აშკარა იყო, ჰოლანდიელებს ერთი გოლი არ ჰყოფნიდათ და შეტევებს შეტევებზე ახორციელებდნენ. მათი იერიშები კიდევ უფრო გაამწვავა 52-ე წუთზე ფარფანის ნაცვლად მინდორზე შესულმა დამარკუს ბესლიმ, თუმც სასურველი შედეგი ვერც ამერიკელის აქტიურობამ მოიტანა.

ბოლო 20-25 წუთის მანძილზე სტუმრები უკეთაც გამოიყურებოდნენ, იმიტომ, რომ პსვ-ს დაღლა დაეტყო და ფრანგებმაც რამდენიმე მომენტი შექმნეს. უკანასკნელ წუთებზე „ფილიპსის“ ბინადარნი აშკარა გოლს გადაურჩნენ, როდესაც მოჰამედ კალონის თავური რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა კარს.

„მოედანზე საოცარი ატმოსფერო სუფევდა, დიდი მადლობა გულშემატკივრებს. ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე ყოველთვის განსხვავებული განწყობაა. მართალია, მეორე გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ურიგო ანგარიში ვფიქრობთ, არც 1:0-ია“ — თქვა პსვ-ს კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა.

ჰოლანდიელთა თავკაცმა გუს ჰიდინკმა კი დასძინა: „პირველ ტაიმში შედარებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. ცუდია, რომ სხვაობის გაზრდა არ გამოგვივიდა, მაგრამ ერთბურთიანი უპირატესობაც უნდა ვიმყოფინოთ. საფრანგეთში ძალიან რთული მატჩი გველის, თუმც ნურავინ იფიქრებს, რომ დაცვიდან ვითამაშებთ. პირიქით, სულ ცოტა, ერთი გოლის გატანას ვეცდებით“.

ჰიდინკის კოლეგა დიდიე დეშანი ცხადია, დამწუხრებულია: „ბუნებრივია, შედეგი არადამაკმაყოფილებელია. დასანანია ისიც, რომ გოლი კუთხურიდან გავუშვით. ვფიქრობ, თამაში თანაბარი იყო. ხელი წამყვან ფეხბურთელთა ტრავმებმაც შეგვიშალეს. იმედია, საპასუხო მატჩში სრული შემადგენლობა გვეყოლება. ჩვენი უპირატესობა ინდივიდუალურ სიძლიერეშია, რადგანაც ფიზიკურად პსვ ოდნავ უკეთაა მომზადებული“.

**გიორგი ქაქაბაძე**

## საპასუხო მატჩები გაიმართება 9 მარტს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2004-2005. 1/16 ფინალი. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალენსიელი მარკუ კანეირა და ბუქარესტელი კრისტიან ჩიკოიუ ერთმანეთს ერთხელაც გადაეყრებიან

**პირველი მატჩი**

აუსტრია (ავსტრია) – ბილბაო (ესპანეთი)

**საპასუხო მატჩები**

დნიპრო (უკრაინა) – პარტიზანი (სერბეთი) (2:2)
შალკე (გერმანია) – შახტარი (უკრაინა) (1:1)
ალკმაარი (ჰოლანდია) – ალემანია (გერმანია) (0:0)
სოშო (საფრანგეთი) – ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (0:1)
ნიუკასლი (ინგლისი) – ჰერენვენი (ჰოლანდია) (2:1)
სტიაუა (რუმინეთი) – ვალენსია (ესპანეთი) (0:2)
მიდლსბრო (ინგლისი) – გრაცერი (ავსტრია) (2:2)
ბენფიკა (პორტუგალია) – ცსკა (რუსეთი) (0:2)
შტუტგარტი (გერმანია) – პარმა (იტალია) (0:0)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) – სპორტინგი (პორტუგალია) (1:2)
ოსერი (საფრანგეთი) – აიაქსი (ჰოლანდია) (0:1)
სარაგოსა (ესპანეთი) – ფენერბაჰჩე (თურქეთი) (1:0)
ლილი (საფრანგეთი) – ბაზელი (შვეიცარია) (0:0)
სევილია (ესპანეთი) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი) (0:1)
ვილიარეალი (ესპანეთი) – დინამო (უკრაინა) (0:0)

# პატარა ამბები დიდ ამბავზე

## ვინც დარჩა, განახევრდება

*ჩემპიონთა ლიგა გახურდა და უეფას თასიც ეშხშია შესული — დღეს საღამოს მერვედფინალში გასულ გუნდთა ვინაობას შევიტყობთ და ბუნებრივია, მატჩები იქნება, დედა შვილს არ აიყვანსო, რომ იტყვიან.*

*მოკლედ, დღეს საპასუხო მეთექვსმეტედფინალებია და გუნდებმა წინა შეყრიდან რა დასკვნებიც გამოიტანეს ვინძლო ქვემორე წერილიდანაც შეიტყოთ*

**დნიპრო – პარტიზანი**

პირველ თამაშში უკრაინელები ორჯერ ჩამორჩებოდნენ ბელგრადელებს, მაგრამ ორივეჯერ გაათანაბრეს ანგარიში. შეგახსენებთ, რომ ბელგრადელთაგან თავი ევროსარბიელის დებიუტანტმა, 21 წლის ნიგერიელმა ობიორა ოდიტამ გამოიჩინა.

საინტერესოა, რომ თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატი ორივე გუნდმა ბოლოს შორეულ 1983 წელს მოიგო, როდესაც „დნიპროს“ „დნეპრი“ ერქვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოდიოდა, ხოლო „პარტიზანი“ ჯერ კიდევ დაუშლელი იუგოსლავიის პირველობაში მონაწილეობდა.

მატჩი დნეროპეტროვსკის „მეტეორზე“ ადგილობრივი დროით 17 საათზე დაიწყება.

**შალკე - შახტარი**

დონეცკელი ბრაზილიელის, ბრანდაუს მიერ პირველი მატჩის მიწურულს გატანილმა გოლმა „შახტარს“ ანგარიში გაათანაბრებინა და იმედი დაუტოვა, თორემ ბრანდაუს თანამემამულის, აილტონის მიზნიანი დარტყმით მისი უკრაინული გუნდი შინ მარცხდებოდა ლევან კობიაშვილის „შალკესთან“. დღეს გელზენკირხენში, ცენტრალური ევროპის დროით 18 საათზე საპასუხო მატჩია.

უნდა ითქვას, რომ აილტონი მართლაც დიდებულ ფორმაშია, რაზეც ბუნდესლიგის ბოლო ტურში, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ კარში მისი ჰეთ თრიქიც ადასტურებს.

ზოგადად კი „შახტარი“ გერმანულ მეტოქეებთან საბჭოთა პერიოდში კარგად თამაშობდა, ოთხი დაპირისპირებიდან სამში უმარჯვია, მაგრამ 2001-02 წლებში, ჩემპიონთა ლიგაში, „დორტმუნდმა“ დონბასელებს შინაც აჯობა და სტუმრადაც.

**ალკმაარი – ალემანია**

ცენტრალური ევროპის დროით საღამოს შვიდის ნახევარზე, „ალკმაარდერჰოუტზე“ „ალემანია“ თამაშობს. ერთი კვირის წინ, „რეინ ენერგი შტადიუმზე“ მეტოქეებმა გოლი ვერ გაუტანეს ერთმანეთს. იმ დღეს თავი საგანგებოდ გამოიჩინა გერმანული გუნდის მეკარემ შტეფან შტრაუბმა და თუ მან ჰოლანდიაშიც შეძლო იმავეს გამეორება, მაშინ „ალკმაარს“, რომ იტყვიან, „ჩხინკ“ გოლზე მოუწევს ლოცვა.

**სოშო – ოლიმპიაკოსი**

„სოშოს“ მშობლიურ „მონბელიარზე“ იანის ოკასის ერთი, წინა შეხვედრის პირველ ტაიმის 29-ე წუთზე გატანილი გოლი აქვს ამოსაქაჩი. საინტერესოა, რომ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც ბერძნებმა სამივე თამაში ერთნაირად, 1:0 მოიგეს. ასე რომ, თუ ვინმეს ეს ფაქტი რამეს გეუბნებათ, შეგიძლიათ რაზეც გნებავთ დანიძლავდეთ.

რაც შეეხება „სოშოს“, შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის გუნდია, შემოდგომაზე, ჯგუფურ ეტაპზე, თბილისის „დინამოსთან“ რომ თამაშობდა და „ლოკომოტივის“ სტადიონზეც 2:0 მოუგო ჩვენს საკლუბო ფლაგმანს.

**ნიუკასლი – ჰერენვენი**

„დინამოსთან“ ერთად უეფას თასის ჯგუფში იყო „ნიუკასლ იუნაიტედიც“, რომელიც, სხვათა შორის, გასულ გათამაშებაში ნახევარფინალამდე მივიდა და იქ „მარსელთან“ წააგო 1:2. დღეს „კაჭკაჭები“ მშობლიურ „სენტ ჯეიმს პარკზე“ იმ „ჰერენვენს“ ხვდებიან, რომელსაც პირველ თამაშში 2:1 მოუგეს. მაშინ, კლას-იან ჰუნტელაარის გოლს პასუხი ალან შირერმა და ლი ბოიერმა გასცეს. ერთი შეხედვით, სენსაცია დღესაც არ არის მოსალოდნელი, თუმც სენსაციებს რას გაუგებ...

**სტიაუა – ვალენსია**

უეფას თასი მფლობელი „ვალენსია“ „სტიაუასთან“ ბუქარესტში ორგოლიანი უპირატესობით დაიწყებს შეხვედრას. პირველ შეხვედრაში ეს გოლები მარკო დი ვაიომ და პაბლო აიმარმა გაიტანეს და ამით მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის თავზე მოქუჩული ღრუბლები ცოტა გაფანტეს.

არადა, ესპანეთის პირველობაზე ვალენსიელების საქმე ცუდად მიდის — ბოლოს, სანტანდერის „რასინგთან“ 0:1 დამარცხების შემდეგ მეექვსე ადგილზე ჩავარდნენ.

„ჩვენ ბუქარესტშიც დიდი ბრძოლა უნდა გავმართოთ, რადგან როდესაც გუნდი ვერ იგებს, საკუთარი თავის რწმენას ჰკარგავს“ — განაცხადა რანიერიმ.

ნეკნის ტკივილის გამო კიდევ არ იქნება არგენტინელი ცენტრალური მცველი რობერტო აიალა, ხოლო მიგელ ანხელ ანგულო შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაციის მეორე თამაშს სტოვებს.

**მიდლსბრო – გრაცერი**

გრაცელები მშობლიურ „არნოლდ შვარცენეგერზე“ ერთი კვირის წინ ორჯერ ჩამორჩნენ „მიდლსბროს“, მაგრამ ორჯერვე იყოჩაღეს და გაქვითეს. ინგლისელთაგან ჰოლანდიელებმა, ბუდევინ ზენდენმა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გაიტანეს, ხოლო ავსტრიელთა გოლები მარიო ბაზინამ და როლანდ კოლმანმა შეყარეს.

მატჩი ადგილობრივი დროით 20 საათზე, „რივერსაიდზე“ გაიმართება.

**ბენფიკა – ცსკა**

რუსმა ჯარისკაცებმა პორტუგალიელებს პირველ შეხვედრაში 2:0 მოუგეს. ის მატჩი კრასნოდარში გაიმართა, რადგან მოსკოვის და ფეხბურთის ერთად ხსენება თებერვალში ნამდვილი ცინიზმია. საინტერესოა, რომ მოსკოვიდან კრასნოდარამდე მანძილი „ცოტათი“ ნაკლებია, ვიდრე მოსკოვიდან ლისაბონამდე, აკი ამბობენ კიდეც, რუსეთისას გონებით რას გაიგებო...

შეგახსენებთ, რომ ცსკა-სთვის პორტუგალიურ გუნდთან თამაში გადაჩვეულის გახსენებას არ ნიშნავს, რადგან ამ შემოდგომაზე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოსკოველები „პორტუსთან“ ერთად იყვნენ, საიდანაც შემდეგ ეტაპზე ჩემპიონთა თასის მფლობელი გავიდა.

**შტუტგარტი – პარმა**

„შტუტგარტი“ ის გუნდია, რომელიც შინ კარგად თამაშობს. ევროთასებზე, შინ, ბოლო 15 თამაშიდან მან ყველა მოიგო ერთის გარდა, რაც, დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი შედეგია. პირველი შეხვედრის ანგარიშია 0:0. გერმანელებს მხოლოდ ფრანგი მცველი — მეთიუ დელპიერი არ ეყოლებათ.

რაც შეეხება „პარმას“, მან სერია A-ს ბოლო ტურში „ბრეშას“ მოუგო და ბოლო ადგილს ასცდა.

**ფეიენოორდი – სპორტინგი**

უეფას თასის 2002 წლის მფლობელი „ფეიენოორდი“ ერთ-ერთი საყრდენი მოთამაშის, შვედი მცველის, ალექსანდერ ოსტლუნდის გარეშე შეეცდება პორტუგალიურ „სპორტინგთან“ ერთი კვირის წინ წაგებული 1:2-ის გამოსწორებას.

„სპორტინგის“ მწვრთნელი, ჟოზე პეშეირო „დე კუიპზე“ თამაშს ტრიბუნიდან ნახავს, რადგან პირველ შეხვედრაში, მსაჯებთან კამათის გამო ერთი მატჩით მოაშორეს მოედნის კიდეს.

**ოსერი – აიაქსი**

ოსერის „აბე დეშანზე“ ფრანგებს მაქსველის ერთი კვირის წინანდელი დარტყმული აქვთ გასათანაბრებელი. სხვათა შორის, „ოსერმა“ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, შაბათს, სრულიად მოულოდნელად და გამაოგნებლად წააგო „ისტრთან“ 0:1, მაგრამ იმ შეხვედრაში არ უთამაშია გუნდის მთავარ თავდამსხმელს, ბენჟამინ მვარუვარის, რომელიც ისვენებდა, დღეს კი მოედანზე იქნება.

**სარაგოსა – ფენერბაჰჩე**

ერთი კვირის წინ, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის 32 გუნდიდან სულ ორმა მოიგო სტუმრად და ერთი მათგანი, ესპანური „სარაგოსა“ გახლდათ და იმ შეხვედრის ერთადერთი გოლი მცველმა ალვარომ გაიტანა. ერთი სიტყვით, დღეს, „ლა რომარედაზე“ ყველა პირობაა საიმისოდ, რომ „სარაგოსამ“ წარმატებით დაწყებული საქმე მიამთავროს, მაგრამ მოდით ნურც ის გამოგვეპარება მხედველობიდან, რაც „ფენერბაჰჩემ“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე უკვე დაამტკიცა — მასთან ხუმრობა არ შეიძლება.

**ლილი – ბაზელი**

შვეიცარიაში ნათამაშევი 0:0 სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთში ფრანგები გაიმარჯვებენ. საქმე ისაა, რომ წინა კვირაში „ბაზელს“ ორთვიანი შესვენების შემდეგ პირველი ნამდვილი თამაში ჰქონდა, ახლა კი უფრო ეშხშია შესული.

**სევილია – პანათინაიკოსი**

ბერძნებს შინ მოპოვებული ერთგოლიანი უპირატესობა აქვთ შესანარჩუნებელი. პირველ შეხვედრაში „აპოსტოლოს ნიკოლაიდისზე“ ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე სლოვაკმა ლუკას ვინტრამ გაიტანა.

სხვა საქმეა, რომ „სევილიას“ ბერძნებთან საერთოდ კარგად გამოსდის თამაში.

**ვილიარეალი – დინამო**

კიევში შეხვედრა 0:0 იმიტომ დასრულდა, რომ „ვილიარეალის“ მეკარემ, ხოსე მანუელ რეინამ ითამაშა ფანტასტიკურად. შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალი“ გასულ ნახევარფინალში „ვალენსიამ“ გამოთიშა შეჯიბრებას.

**აუსტრია – ბილბაო**

ამათი მატჩიც დღეს გაიმართება, საპასუხო კი სამ დღეში „სან მამესზე“ ჩატარდება. პირველი შეხვედრა კი შეგახსენებთ, ვენაში დიდთოვლობის გამო ჩაიშალა — „პრატერზე“ ბურთის გორება შეუძლებელი იყო.

**ბაჩუნა ძედია**



# სუნესს იმედი აქვს... დარჩება შირერი და მოვა ოუენიც



მაიკლ ოუენს სკამზე ჯდომა მობეზრდა

**„ნიუკასლის“** ბოსი გრემ სუნესს ცდილობს, მადრიდის „რეალის“ ინგლისელი თავდამსხმელი მაიკლ ოუენი ზაფხულში თავის გუნდში გადაიყვანოს.

სუნესს მიაჩნია, რომ 25 წლის ოუენი საუკეთესო შემცვლელი იქნება 34 წლის ალან შირერისა, რომელიც ამ სეზონის ბოლოს თავს ანებებს დიდ ფეხბურთს. თუმცა, სუნესს იმის იმედიც აქვს, რომ შირერი ერთი სეზონით გადადებს წასვლას და გაისადაც ითამაშებს „ნიუკასლისთვის“.

მენეჯერი ასევე ცდილობს, რომ „ასტონ ვილადან“ დაიბრუნოს პერუელი ნოლბერტო სოლანო, რაზეც „ვილა“ ჯერჯერობით უარს ამბობს.

„ოუენი დიდი მეგოლეა და ჯერ მხოლოდ 25 წლისაა — თქვა სუნესმა — ის იოლად მოიგებს ჩვენი ფანების გულს. თუმცა, მის დასაუფლებლად ბრძოლა მოგვიწევს, სხვა ბევრსაც ენდომება მაიკლის ხელში მოგდება“.

რაც შეეხება შირერს, სუნესს სურს რომ ალანი ისტორიის წიგნებით აანთოს. 1946-57 წლებში ჯეკი მაბურნს 200 გოლი გაუტანია „ნიუკასლის“ სახელით, ალანს კი ჯერჯერობით 187. ჰოდა, ვეტყვი, რეკორდი გაქვს დასამხობი და ერთ წელიწადსაც კიდევ ითამაშეო, იმედოვნებს სუნესი.

„ზაფხულში სამ, ოთხ, ხუთ ახალ ფეხბურთელს აუცილებლად შევიძენთ — დასძენს „ნიუკასლის“ თავკაცი — ისინი უკვე შეგულებულიც გვყავს.“

„ნიუკასლის“ საოუენო ფასი 20 მილიონი გირვანქაა, „რეალის“ პასუხი კი ჯერჯერობით უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია მაიკლის ნათქვამი „რეალის“ უფროსობისადმი, თუ ძირითადში მუდმივად არ მომცემთ ადგილს, მაშინ გამიშვითო.

ცხადია, ოუენს არა აქვს მუდმივი ადგილი სასტარტოში, გუშინწინაც, „იუვენტუსთან“ მატჩში ჯერ სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ვანდერლეი ლუშემბურგომ მერე შეუშვა ბოლო თოთხმეტი წუთის სათამაშოდ რონალდოს მაგივრად.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ILLIS QUORUM MERUERE LABORES

## იუჰანსონს შრომა დაუფასდა

**უეფას** შვედი პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი მშობლიური ქვეყნის მთავრობამ ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

დიდსაფეხბურთო მოხელეს ოქროს მედალი შვედეთის პრემიერ-მინისტრმა გერან პერსონმა გადასცა — მსოფლიო სპორტში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის.

უნდა ითქვას, რომ იუჰანსონს გამორჩეული პატივი ხვდა წილად: სკანდინავიურ სახელმწიფოში ამ მედლით წელიწადში მხოლოდ ერთ პიროვნებას თუ აჯილდოვებენ.

მედალზე ლათინური წარწერა ამოტვიფრული ILLIS QUORUM MERUERE LABORES („მათთვის, ვისი შრომაც ამას იმსახურებს“).



საინტერესო ისიცაა, რომ აქამდე ხსენებული მედლით სპორტის სფეროში მოღვაწე კაცი არ დაუჯილდოვებიათ, ამიტომაც მოხუცი პრეზიდენტი თავის საქმეში პირველ ლაურეატად ითვლება.

შეგახსენებთ, ლენარტ იუჰანსონი ახლა 75 წლისაა და უეფას 1990 წლიდან თავკაცობს.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ვესტ ბრომვიჩი 0:0 საუთჰემპტონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 27 | 21 | 5 | 1 | 50:8 | 68 |
| მანჩესტერი | 27 | 17 | 8 | 2 | 45:16 | 59 |
| არსენალი | 27 | 17 | 6 | 4 | 63:31 | 57 |
| ევერტონი | 27 | 14 | 6 | 7 | 31:28 | 48 |
| ლივერპული | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 43 |
| მიდლსბრო | 27 | 11 | 8 | 8 | 41:35 | 41 |
| ბოლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 35:32 | 40 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 5 | 10 | 30:36 | 38 |
| ტოტენჰემი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:30 | 36 |
| ასტონ ვილა | 27 | 9 | 8 | 10 | 31:34 | 35 |
| სიტი | 27 | 8 | 9 | 10 | 31:29 | 33 |
| ბირმინგემი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:33 | 32 |
| ნიუკასლი | 26 | 7 | 10 | 9 | 37:43 | 31 |
| პორტსმუთი | 27 | 8 | 6 | 13 | 30:40 | 30 |
| ფულემი | 26 | 8 | 5 | 13 | 33:44 | 29 |
| ბლექბერნი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:36 | 28 |
| კრ. პალასი | 27 | 5 | 7 | 15 | 30:45 | 22 |
| საუთჰემპტონი | 27 | 3 | 11 | 13 | 28:43 | 20 |
| ნორვიჩი | 27 | 3 | 11 | 13 | 26:52 | 20 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 2 | 12 | 13 | 23:49 | 18 |

### ჩემპიონატი
### XXXV ტური

**კარდიფი 0:1 მილუოლი**
0:1 დიჩიო (20პ)

**ქრიუ 1:1 რედინგი**
1:0 ჯორნი (12), 1:1 კიტსონი (70)

**ჯილინგემი 0:1 ვესტ ჰემი**
0:1 შერვუდი (13)

**იფსვიჩი 1:2 უოტფორდი**
0:1 დემერიტი (45), 0:2 დაიერი (81), 1:2 მილერი (87პ)

**პლიმუთი 3:0 შეფილდი**
1:0 კაფლანი (3), 2:0 უოტონი (47), 3:0 ბლეკსტოკი (88)

**ქუინზ პარკი 1:1 ვულვერჰემპტონი**
1:0 გალენი (11), 1:1 კორტი (85)

**სტოკი 3:2 ლესტერი**
0:1 უილიამსი (15), 1:1 ბრემერი (24), 2:1 ნოელ-უილიამსი (34), 3:1 ტაგარტი (59), 3:2 გუდიონსონი (86)

**სანდერლენდი 4:1 როტერჰემი**
1:0 უიტიჰედი (13), 2:0 ტორნტონი (36), 3:0 ბრინი (49), 4:0 ტორნტონი (73), 4:1 მონხაუზი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 34 | 19 | 9 | 6 | 62:41 | 66 |
| უიგანი | 33 | 18 | 9 | 6 | 59:24 | 63 |
| სანდერლენდი | 34 | 19 | 6 | 9 | 53:32 | 63 |
| დერბი ქაუნთი | 33 | 16 | 6 | 11 | 49:41 | 54 |
| ვესტ ჰემი | 33 | 16 | 6 | 11 | 47:39 | 54 |
| პრესტონი | 33 | 15 | 8 | 10 | 47:44 | 53 |
| რედინგი | 34 | 14 | 10 | 10 | 40:33 | 52 |
| მილუოლი | 34 | 14 | 8 | 12 | 36:30 | 50 |
| შეფილდი | 32 | 13 | 9 | 10 | 39:42 | 48 |
| ლიდსი | 35 | 12 | 11 | 12 | 40:39 | 47 |
| სტოკი | 33 | 13 | 8 | 12 | 23:24 | 47 |
| ქუინზ პარკი | 33 | 13 | 6 | 14 | 41:45 | 45 |
| ბარნსლი | 31 | 11 | 11 | 9 | 26:25 | 44 |
| უოტფორდი | 33 | 10 | 13 | 10 | 42:39 | 43 |
| ქრიუ | 33 | 11 | 10 | 12 | 54:56 | 43 |
| ვულვზი | 33 | 9 | 14 | 10 | 46:45 | 41 |
| ბრაიტონი | 34 | 11 | 8 | 15 | 29:43 | 41 |
| ლესტერი | 32 | 9 | 13 | 10 | 35:33 | 40 |
| პლიმუთი | 34 | 10 | 8 | 16 | 37:48 | 38 |
| კარდიფი | 33 | 9 | 10 | 14 | 35:37 | 37 |
| ქოვენთრი | 33 | 9 | 8 | 16 | 41:55 | 35 |
| ჯილინგემი | 34 | 8 | 7 | 19 | 30:54 | 31 |
| ნოტინგემი | 31 | 5 | 11 | 15 | 28:45 | 26 |
| როტერჰემი | 34 | 3 | 13 | 18 | 26:51 | 22 |

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**გრენობლი 2:0 რეიმსი**
1:0 ფრეიტაში (30), 2:0 აკრური (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 26 | 14 | 6 | 6 | 38:24 | 48 |
| ტრუა | 26 | 13 | 6 | 7 | 43:34 | 45 |
| სედანი | 26 | 12 | 7 | 7 | 26:23 | 43 |
| ლე მანი | 26 | 12 | 5 | 9 | 27:23 | 41 |
| გრენობლი | 26 | 10 | 9 | 7 | 33:28 | 39 |
| მონპელიე | 26 | 11 | 6 | 9 | 27:23 | 39 |
| ბრესტი | 26 | 9 | 12 | 5 | 26:24 | 39 |
| შატორუ | 26 | 8 | 14 | 4 | 30:24 | 38 |
| გენიონი | 26 | 9 | 11 | 6 | 22:19 | 38 |
| ლავალი | 26 | 10 | 6 | 10 | 28:29 | 36 |
| დიჟონი | 26 | 8 | 11 | 7 | 26:25 | 35 |
| გენგამი | 26 | 9 | 6 | 11 | 32:32 | 33 |
| რეიმსი | 26 | 8 | 9 | 9 | 25:32 | 33 |
| ამიენი | 26 | 7 | 9 | 10 | 23:26 | 30 |
| ლორიანი | 26 | 8 | 5 | 13 | 30:37 | 29 |
| კლერმონი | 26 | 6 | 10 | 10 | 27:28 | 28 |
| კრეტეი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:27 | 27 |
| ანჟე | 26 | 6 | 9 | 11 | 25:32 | 27 |
| ლე ავრი | 26 | 7 | 6 | 13 | 16:25 | 27 |
| ნიორი | 26 | 6 | 6 | 14 | 21:34 | 24 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელმა** ჯალმა ჯალმინიამ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 34 წლის ფეხბურთელს „პალმეირასი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ყოფილ კლუბში დაბრუნება იუარა. „ფეხბურთისგან სიამოვნებას უკვე ველარ ვიღებ. ამიტომაც გადავწყვიტე წასვლა. აზრს მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული წინადადება თუ შემაცვლევინებს“ — თქვა ესპანური „დეპორტივოს“ აწ უკვე ყოფილმა წევრმა.

**იტალიური** „იუვენტუსის“ მცველი ნიკოლა ლეგრატალიე, რომელიც იანვარში „ბოლონიაში“ გაანათხოვრეს, ისევ დაშავდა. გასულ უქმეებზე, „ატალანტასთან“ მატჩისას მას ისევ დაეჭიმა კუნთი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ საქმე საკმაოდ სერიოზულად არის. ლეგროტალიეს სულ ცოტა ერთი თვით მოუწევს უქმობა.

**გერმანულ** „დორტმუნდში“ არეულობა გრძელდება. როგორც იცით, კლუბი გაკოტრების პირასაა და დაახლოებით 150 მილიონი ევრო ვალი აქვს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა და გერმანიაში სწორედ ამის გამოკვლევა დაიწყეს. მიუნხენელ ადვოკატ კლაუს როიტერის თქმით, იგი კლუბის აღმასრულებელ დირექტორ მიხაელ მაიერსა და ყოფილ პრეზიდენტ გერდ ნიებაუმს სასამართლოში უჩივლებს. მათ 20 მილიონის გაფლანგვაში ედებათ ბრალი.

**იტალიის** მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა, არტურო დი ნაპოლი „მესინას“ ვარჯიშზე დაშავდა. შეგახსენებთ, რომ შვიდი გოლით იგი სიცილიელთა საუკეთესო ბომბარდირია. ექიმები საბოლოო დიაგნოზს დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგლა დასვამენ. სავარაუდოდ, დი ნაპოლის 2-4 კვირა მოუწევს დასვენება.

**ბრაზილიელმა** მარიო ჟარდელმა სეგუნდადივიზიონელ „ალავესთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. ჟარდელს სეზონის ბოლომდე თამაში არ შეეძლო, რადგანაც ისევ არგენტინული „ნიუელს ოლდ ბოიზის“ ფეხბურთელად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მან ვიტორიელებს ჯამაგირი მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. საბოლოოდ ბრაზილიელმა „ალავესის“ დატოვება გადაწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა.

**ესპანურ** პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კლაუდიო რანიერი შესაძლოა, პოსტიდან სეზონის ბოლომდეც დაითხოვონ. თუ „ვალენსია“ პრიმერადივიზიონში წარუმატებელ თამაშს გააგრძელებს ან უეფას თასს გამოეთიშება, იტალიელ სპეციალისტს მაშინ გაუშვებენ. რანიერის სავარაუდო შემცვლელად კიკე ფლორესის გარდა რონალდ კუმანსა და დიდიე დეშანსაც ასახელებენ.

**იაპონიის** ნაკრების მეკარე იოშიკაცუ კავაგუჩი ჯეი-ლიგის ერთ-ერთი მატჩისას დაშავდა. მან მარჯვენა ხელის თითი დაიზიანა. ექიმების თქმით, კავაგუჩი დაახლოებით 5-6 კვირა ვეღარ ითამაშებს. შესაბამისად, 29 წლის მეკარე ეროვნულ გუნდს ირანთან და ბაჰრეინთან მატჩებში ვერ დაეხმარება. მის ადგილს სეიგო ნარაზაკი დაიკავებს.

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“ ორი ახალგაზრდა მცველი ამოიღო მიზანში — პარმელი ჩეზარე ბოვო და ანდერლეხტელი ვენსან კომპანი. „ბებერი ქალბატონი“ მზად ყოფილა, ბრიუსელელებს კომპანის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო, პლუს იგორ ტუდორი და მარსელო ზალაიეტა შესთავაზოს. ბოვოს სავარაუდო ფასი კი ჯერჯერობით უცნობია.

**ბულგარეთის** ჩემპიონმა სოფიის ცსკა-მ მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლა — ფერარიო სპასოვი სერბ მიოდრაგ ჯესიჩით შეცვალეს. არმიელთა უფროსობა კარგა ხანი იყო სპასოვის საქმიანობით უკმაყოფილო, ხოლო 46 წლის ჯესიჩს ბულგარეთში აქამდეც უმუშავია: 2003 წელს იგი სოფიისავე „სლავიას“ წვრთნიდა.

**ჰოლანდიელ** თავდამსხმელ დენის ბერხკამპს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „არსენალის“ აპელაცია არ დააკმაყოფილა და პირველადი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. საქმე ისაა, რომ ვეტერანი ფეხბურთელი „შეფილდთან“ სათასო შეხვედრისას უხეში თამაშისთვის გააძევეს. ბერხკამპი „საუთჰემპტონთან“, „პორტსმუთთან“ და იმავე „შეფილდთან“ გადასათამაშებელ მატჩს გამოტოვებს.

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის“ ფანებმა გასულ უქმეებზე სერიოზული არეულობა მოაწყვეს. პირეოსელი ქომაგები „ერგოტელისთან“ მოულოდნელი წაგებით იყვნენ უკმაყოფილონი და ჯავრის ყრა უბრალო ხალხზეც ამად გადაწყვიტეს. პოლიციამ განსაკუთრებულად აქტიური ოთხი პიროვნება დააკავა. მოგვიანებით, ორ მათგანს 15-თვიანი პატიმრობა მიესაჯა, ერთს 12-თვიანი, ერთსაც კიდევ ექვსთვიანი. ამასთანავე, თითეული მათგანი 3 ათას ევროს ჯარიმის სახით გადაიხდის.

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

I ჯგუფი. II ტური

**ამერიკა (კოლუმბია) 1:0 ინდეპენდიენტე (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ატლ. პარანენსე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ინდეპენდიენტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლიბერტადი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

III ჯგუფი. I ტური

**უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) 3:2 კილმესი (არგენტინა)**

## სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | საუთჰემპტონი-არსენალი | 5.8 | 3.6 | 1.55 | 2.22 | 1.22 | 1.08 |
| 15:45 | 2 | საუთჰემპტონი-არსენალი1:0 | 2.2 | 3.5 | 2.35 | | | |
| 18:00 | 3 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.8 | 3.3 | 4.35 | 1.16 | 1.27 | 1.87 |
| 18:00 | 4 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 5 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 20:15 | 6 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |
| 20:15 | 7 | მანჩესტერი-პორტსმუთი0:1 | 1.5 | 4.0 | 3.1 | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 8 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.9 | 3.2 | 3.9 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 18:00 | 9 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.9 | 3.2 | 3.9 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 10 | ნორვიჩი-სიტი | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 401 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.12 | 6.0 | 13.0 | 1.0 | 1.03 | 4.1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 89 | ერდრი-ჰამილტონი | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 90 | ალოა-ფორფარი | 1.75 | 3.5 | 3.7 | 1.16 | 1.18 | 1.79 |
| 18:00 | 91 | არბროთი-დამბარტონი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 92 | ეარი-ბერიკი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 93 | ბრეჩინი-სტირლინგი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 94 | მორტონი-სტრანრარი | 2.3 | 3.3 | 2.55 | 1.35 | 1.2 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 95 | ალბიონი-ისტ ფაიფი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 96 | კოუდენბითი-სტენჰაუზმური | 1.95 | 3.4 | 3.2 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 97 | ისტ სტირლინგი-გრეტნა | 12.0 | 5.5 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.0 |
| 18:00 | 98 | ელგინი-ქუინზ პარკი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 99 | მონტროუზი-პიტერჰედი | 6.0 | 4.0 | 1.4 | 2.4 | 1.13 | 1.03 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 17:30 | 100 | ვერდერი-ბოხუმი | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 17:30 | 101 | ვერდერი-ბოხუმი0:1 | 1.8 | 3.7 | 2.5 | | | |
| 17:30 | 102 | არმინია-ნიურნბერგი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.5 | 3.8 | 6.3 | 1.07 | 1.21 | 2.37 |
| 17:30 | 104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 6.2 | 3.8 | 1.5 | 2.35 | 1:2 | 1.07 |
| 17:30 | 105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2.45 | 3.4 | 2.55 | 1.42 | 1.24 | 1.45 |
| 17:30 | 106 | ჰერტა-ჰამბურგი | 2.05 | 3.3 | 3.35 | 1.26 | 1.27 | 1.66 |
| 17:30 | 107 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.95 | 3.2 | 3.8 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 19:30 | 108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.0 | 3.4 | 3.4 | 1.25 | 1.25 | 1.7 |
| 19:30 | 109 | შალკე-ჰანოვერი | 1.5 | 3.7 | 6.5 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 111 | მიუნხენი-კოტბუსი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 21:00 | 112 | ესენი-ბურგჰაუზენი | 2.2 | 3.0 | 3.1 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 113 | ზაარბრიუკენი-კარლსრუე | 1.75 | 3.2 | 4.2 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 114 | უნტერჰახინგი-ტრირი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 17:00 | 115 | ობერჰაუზენი-აინტრახტი | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 17:00 | 116 | ალემანია-აუე | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 17:00 | 117 | ალენი-ერფურტი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 17:00 | 118 | დინამო-კიოლნი | 2.9 | 3.1 | 2.2 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 22:15 | 119 | ფიურტი-დუისბურგი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 138 | მატერსბურგი-ადმირა | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 20:30 | 139 | ზალცბურგი-ტიროლი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 20:30 | 140 | ბრეგენცი-რაპიდი | 4.7 | 3.5 | 1.65 | 2.0 | 1.22 | 1.12 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 17:30 | 141 | გრაცერი-შტურმი | 1.7 | 3.4 | 4.4 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 143 | შაფჰაუზენი-აარაუ | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 16:30 | 144 | თუნი-ციურიხი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 16:30 | 145 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 16:30 | 147 | გრასჰოპერი-იანგ ბოიზი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 157 | ბრეშა-სამპდორია | 2.6 | 3.0 | 2.7 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| 22:30 | 158 | ფიორენტინა-უდინეზე | 2.5 | 3.1 | 2.7 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 159 | იუვენტუსი-სიენა | 1.2 | 5.3 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.67 |
| 17:00 | 160 | იუვენტუსი-სიენა0:1 | 1.5 | 3.5 | 3.2 | | | |
| 17:00 | 161 | ლაციო-პარმა | 2.0 | 3.1 | 3.75 | 1.21 | 1.3 | 1.69 |
| 17:00 | 162 | ლეჩე-მესინა | 1.95 | 3.1 | 3.95 | 1.19 | 1.3 | 1.73 |
| 17:00 | 163 | პალერმო-რომა | 2.5 | 3.1 | 2.7 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 17:00 | 164 | რეჯინა-კიევო | 1.85 | 3.1 | 4.4 | 1.15 | 1.3 | 1.81 |
| 17:00 | 165 | ბოლონია-ლივორნო | 1.85 | 3.1 | 4.4 | 1.15 | 1.3 | 1.81 |
| 17:00 | 166 | კალიარი-ატალანტა | 1.55 | 3.6 | 6.0 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 22:30 | 167 | ინტერი-მილანი | 2.6 | 3.1 | 2.6 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 169 | პიაჩენცა-ტორინო | 2.65 | 2.7 | 2.7 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 170 | სალერნიტანა-კატანძარო | 1.55 | 3.15 | 6.5 | 1.03 | 1.25 | 2.12 |
| 17:00 | 171 | ტერნანა-ტრევიზო | 2.15 | 2.7 | 3.5 | 1.19 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 172 | ტრიესტინა-კატანია | 2.35 | 2.7 | 3.15 | 1.25 | 1.34 | 1.45 |
| 17:00 | 173 | ვენეცია-მოდენა | 2.3 | 2.8 | 3.1 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 17:00 | 174 | ვერონა-ასკოლი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 17:00 | 175 | ჯენოა-ბარი | 1.6 | 3.0 | 6.5 | 1.04 | 1.28 | 2.05 |
| 17:00 | 176 | ჩეზენა-პერუჯა | 2.7 | 2.6 | 2.8 | 1.32 | 1.37 | 1.34 |
| 17:00 | 177 | კროტონე-არეცო | 2.15 | 2.7 | 3.5 | 1.19 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 178 | პესკარა-ვიჩენცა | 2.2 | 2.7 | 3.5 | 1.21 | 1.35 | 1.52 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 179 | ალბინოლეფე-ემპოლი | 2.4 | 2.7 | 3.1 | 1.27 | 1.35 | 1.44 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.6 | 3.5 | 5.6 | 1.09 | 1.24 | 2.15 |
| 23:45 | 202 | დეპორტივო-რეალი | 2.85 | 3.3 | 2.3 | 1.52 | 1.27 | 1.35 |
| 20:00 | 203 | მალიორკა-ლევანტე | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 22:00 | 204 | ნუმანსია-ბარსელონა | 6.6 | 3.7 | 1.5 | 2.37 | 1.22 | 1.06 |
| 22:00 | 205 | ნუმანსია-ბარსელონა1:0 | 2.3 | 3.4 | 2.2 | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.7 | 3.5 | 4.65 | 1.14 | 1.24 | 1.99 |
| 19:00 | 206 | ოსასუნა-მალაგა | 1.8 | 3.3 | 4.35 | 1.16 | 1.27 | 1.87 |
| 19:00 | 207 | სევილია-რასინგი | 1.45 | 3.8 | 7.3 | 1.04 | 1.2 | 2.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 208 | სევილია-რასინგი0:1 | 2.2 | 3.5 | 2.3 | | | |
| 23:00 | 209 | ვალენსია-ბეტისი | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 19:00 | 210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 224 | ნანტი-სტრასბური | 2.0 | 2.9 | 4.1 | 1.18 | 1.34 | 1.69 |
| 22:00 | 225 | ნიცა-მონაკო | 3.1 | 2.9 | 2.35 | 1.49 | 1.33 | 1.29 |
| 22:00 | 226 | პსჟ-ბასტია | 1.65 | 3.1 | 6.25 | 1.07 | 1.3 | 2.07 |
| 22:00 | 227 | აიაჩო-ლანსი | 2.4 | 2.9 | 3.05 | 1.31 | 1.34 | 1.48 |
| 22:00 | 228 | ბორდო-კაენი | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 19:15 | 232 | ლიონი-სტ.ეტიენი | 1.5 | 3.5 | 7.2 | 1.04 | 1.24 | 2.35 |

**27 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 222 | მარსელი-ისტრი | 1.4 | 3.7 | 8.0 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| 23:00 | 223 | მარსელი-ისტრი0:1 | 1.9 | 3.6 | 2.35 | | | |
| 18:00 | 229 | ლილი-რენი | 1.6 | 3.1 | 7.1 | 1.05 | 1.3 | 2.15 |
| 20:00 | 230 | ოსერი-ტულუზი | 1.85 | 3.1 | 4.4 | 1.15 | 1.3 | 1.81 |
| 20:00 | 231 | სოშო-მეცი | 1.85 | 3.1 | 4.4 | 1.15 | 1.3 | 1.81 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**25 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 245 | მონსი-ანდერლეხტი | 5.0 | 3.5 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 22:30 | 399 | სტანდარდი-გენკი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 400 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

**25 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 265 | აპელდორნი-ემენი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 22:00 | 266 | ვეენდამი-ვოლენდამი | 2.35 | 3.4 | 2.6 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 22:00 | 267 | დორდრეხტი-ზვოლე | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 22:00 | 268 | ეინდჰოვენი-მაასტრიხტი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 22:00 | 269 | სიტარდი-ექსელსიორი | 2.35 | 3.35 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.44 |
| 22:00 | 270 | იგლსი-ჰელმონდი | 2.7 | 3.35 | 2.35 | 1.49 | 1.25 | 1.38 |
| 22:00 | 271 | სპარტა-ოსი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 22:00 | 272 | ვენლო-კამბური | 1.6 | 3.75 | 5.0 | 1.12 | 1.21 | 2.14 |

**27 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 273 | ტელსტარი-ჰაარლემი | 1.85 | 3.35 | 4.0 | 1.19 | 1.26 | 1.82 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**25 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 278 | ბრაგა-ჟილ ვისენტე | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 277 | ბოავიშტა-ლეირია | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:15 | 281 | პენაფიელი-ბელენენსეში | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |

**27 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 275 | აკადემიკა-სეტუბალი | 2.3 | 3.2 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.5 |
| 19:00 | 276 | ბეირა მარი-რიუ ავე | 2.5 | 3.0 | 2.8 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 21:15 | 279 | გიმარაეში-ნასიონალი | 1.9 | 3.2 | 3.9 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 19:00 | 280 | მორეირენსე-მარიტიმუ | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |

**28 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 282 | პორტუ-ბენფიკა | 1.95 | 3.2 | 3.7 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 23:45 | 283 | სპორტინგი-ეშტორილი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 23:45 | 284 | სპორტინგი-ეშტორილი0:1 | 1.55 | 4.0 | 2.9 | | | |

**ჩეხეთი**

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 316 | ბუდეიოვიცე-ბანიკი | 2.65 | 2.9 | 2.5 | 1.38 | 1.28 | 1.34 |
| 16:25 | 318 | სლავია-სიგმა | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 19:00 | 319 | სლოვაცკო-ბრნო | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |

**27 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 320 | ტეპლიცე-ბოლესლავი | 1.55 | 3.4 | 5.5 | 1.06 | 1.2 | 2.1 |
| 19:00 | 321 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 3.2 | 3.0 | 2.1 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 19:00 | 322 | ბლშანი-ზლინი | 2.3 | 3.0 | 2.85 | 1.3 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 323 | დრნოვიცე-იაბლონეცი | 2.35 | 2.9 | 2.8 | 1.29 | 1.27 | 1.42 |

**28 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:40 | 317 | ოპავა-სპარტა | 8.0 | 4.5 | 1.3 | 2.88 | 1.11 | 1.0 |

**უეფას თასი**

**24 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 358 | შალკე-შახტარი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:30 | 359 | ალკმაარი-ალემანია | 1.35 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.66 |
| 21:00 | 360 | სტიაუა-ვალენსია | 2.95 | 3.3 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.3 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 22:30 | 362 | შტუტგარტი-პარმა | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 22:45 | 363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:45 | 364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 22:45 | 365 | ოსერი-აიაქსი | 1.95 | 3.3 | 3.55 | 1.22 | 1.25 | [illegible] |
| 21:30 | 366 | აუსტრია-ბილბაო | 2.7 | 3.2 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 22:45 | 367 | სარაგოსა-ფენერბაჩე | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 23:30 | 368 | ბენფიკა-ცსკა | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:00 | 369 | ლილი-ბაზელი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:00 | 370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 23:30 | 371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 23:30 | 372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.7 | 3.2 | 4.8 | 1.11 | 1.25 | 1.91 |

**ინგლისი. თასი**

**27 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 373 | ლივერპული-ჩელსი | 3.6 | 3.2 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |

**შოტლანდია. თასი**

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 375 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.3 | 4.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.83 |

**27 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 374 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 402 | კლაიდი-სელტიკი | 12.0 | 5.5 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.0 |
| 18:00 | 403 | ჰართსი-ლივინგსტონი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |

**ბელგია. თასი**

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 377 | ლიერსი-შარლერუა | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |

**როიალ ლიგა**

**24 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:35 | 378 | იურგორდენი-რუსენბორგი | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:35 | 379 | ვოლერენგა-ესბიერგი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 22:00 | 380 | კოპენჰაგენი-გიოტებორგი | 1.95 | 3.2 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 22:35 | 381 | ტრომსიო-ბრონდბიუ | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:35 | 382 | ჰალმსტადი-ბრანი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:35 | 383 | ოდენსე-მალმიო | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**24 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 456 | ბრიუნესი-იურგორდენი | 2.45 | 4.4 | 1.95 | 1.57 | 1.08 | 1.35 |
| 21:00 | 457 | ჰვ 71-ფრიოლუნდა | 2.25 | 4.5 | 2.05 | 1.5 | 1.07 | 1.4 |
| 21:00 | 458 | ლინჩიოპინგი-მოდო | 1.85 | 4.5 | 2.5 | 1.31 | 1.06 | 1.6 |
| 21:00 | 459 | ლულეო-მალმიო | 1.35 | 4.6 | 5.0 | 1.04 | 1.06 | 2.39 |
| 21:00 | 460 | სიოდერტელიე-მორა | 1.6 | 4.5 | 3.0 | 1.18 | 1.04 | 1.79 |
| 21:00 | 461 | ტიმრე-ფერიესტადი | 1.95 | 4.3 | 2.4 | 1.34 | 1.07 | 1.54 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**24 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 473 | ესეტი-ჰაამეენლინა | 2.4 | 4.3 | 1.95 | 1.54 | 1.07 | 1.34 |
| 19:30 | 474 | ჰელსინკი-ესპოო | 1.4 | 4.5 | 4.0 | 1.06 | 1.03 | 2.11 |
| 19:30 | 475 | იუვესკიულე-ილვესი | 2.05 | 4.3 | 2.3 | 1.38 | 1.08 | 1.49 |
| 19:00 | 476 | ლუკო-ტურკუ | 2.05 | 4.3 | 2.3 | 1.38 | 1.08 | 1.49 |
| 19:30 | 477 | ტაპარა-იოკერიტი | 2.65 | 4.3 | 1.85 | 1.63 | 1.08 | 1.29 |
| 19:30 | 478 | პელიკანსი-კერპეტი | 7.0 | 5.0 | 1.25 | 2.91 | 1.06 | 1.0 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**25 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 485 | ლიტვინოვი-სლავია | 2.1 | 4.1 | 2.3 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 19:30 | 486 | პლზენი-ტრჟინეცი | 1.2 | 5.0 | 7.0 | 1.0 | 1.02 | 2.91 |
| 19:00 | 488 | ზლინი-კლადნო | 1.5 | 4.2 | 4.0 | 1.1 | 1.09 | 2.04 |
| 19:30 | 489 | დუკლა-ზნოიმო | 3.0 | 4.2 | 1.7 | 1.75 | 1.08 | 1.21 |
| 20:00 | 490 | პარდუბიცე-ვსეტინი | 1.15 | 6.0 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.42 |
| 20:30 | 491 | სპარტა-კარლოვი ვარი | 1.25 | 5.0 | 7.0 | 1.0 | 1.06 | 2.91 |

**26 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 487 | ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

**25 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 504 | დუბნიცა-პოპრადი | 3.8 | 4.0 | 1.5 | 1.94 | 1.07 | 1.09 |
| 19:00 | 505 | მიკულაში-ჟილინა | 2.15 | 4.0 | 2.1 | 1.39 | 1.06 | 1.37 |
| 19:00 | 506 | ნიტრა-კოშიცე | 2.2 | 4.0 | 2.1 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 19:00 | 507 | ზვოლენი-ტრენჩინი | 2.0 | 4.0 | 2.35 | 1.33 | 1.08 | 1.48 |
| 19:30 | 508 | სლოვანი-სკალიცა | 1.15 | 5.5 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.25 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10357 | დნიპრო-პარტიზანი | 2.2 | 2.0 | 4.3 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10358 | შალკე-შახტარი | 1.9 | 2.1 | 5.3 | 1.0 | 1.39 | 1.5 |
| 10359 | ალკმაარი-ალემანია | 1.5 | 2.5 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.84 |
| 10360 | სტიაუა-ვალენსია | 3.8 | 2.0 | 2.5 | 1.31 | 1.5 | 1.11 |
| 10361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 2.2 | 2.0 | 4.3 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10362 | შტუტგარტი-პარმა | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.65 | 2.5 | 6.3 | 1.0 | 1.3 | 1.78 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10365 | ოსერი-აიაქსი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10366 | აუსტრია-ბილბაო | 3.15 | 2.0 | 2.8 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10368 | ბენფიკა-ცსკა | 2.1 | 2.0 | 4.3 | 1.02 | 1.41 | 1.36 |
| 10369 | ლილი-ბაზელი | 1.95 | 2.1 | 5.3 | 1.01 | 1.42 | 1.5 |
| 10370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.6 | 2.4 | 6.3 | 1.0 | 1.27 | 1.73 |
| 10371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.85 | 2.1 | 5.3 | 1.0 | 1.37 | 1.5 |
| 10372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.95 | 2.2 | 5.3 | 1.03 | 1.42 | 1.55 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.7 | 1.9 |
| 12358 | შალკე-შახტარი | 1.7 | 1.9 |
| 12359 | ალკმაარი-ალემანია | 1.7 | 1.9 |
| 12360 | სტიაუა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.6 | 2.1 |
| 12362 | შტუტგარტი-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.8 | 1.85 |
| 12365 | ოსერი-აიაქსი | 1.6 | 2.0 |
| 12366 | აუსტრია-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 12367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 1.7 | 1.9 |
| 12368 | ბენფიკა-ცსკა | 1.8 | 1.85 |
| 12369 | ლილი-ბაზელი | 1.6 | 2.0 |
| 12370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.7 | 1.9 |
| 12371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.7 | 1.9 |
| 12372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.6 | 2.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11357 დნიპრო-პარტიზანი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11358 შალკე-შახტარი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11359 ალკმაარი-ალემანია | 1.6 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11360 სტიაუა-ვალენსია | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11361 სოშო-ოლიმპიაკოსი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11362 შტუტგარტი-პარმა | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11363 ფეიენოორდი-სპორტინგი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11364 ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11365 ოსერი-აიაქსი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11366 აუსტრია-ბილბაო | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11367 სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11368 ბენფიკა-ცსკა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11369 ლილი-ბაზელი | 2.25 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11370 მიდლსბრო-გრაცერი | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11371 სევილია-პანათინაიკოსი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11372 ვილიარეალი-დინამო(კ) | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.2 | 3.5 |
| 18358 | შალკე-შახტარი | 1.15 | 4.0 |
| 18359 | ალკმაარი-ალემანია | 1.2 | 3.5 |
| 18360 | სტიაუა-ვალენსია | 7.0 | 1.05 |
| 18361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 2.2 | 1.4 |
| 18362 | შტუტგარტი-პარმა | 1.2 | 3.5 |
| 18363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 2.0 | 1.6 |
| 18364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.05 | 6.0 |
| 18365 | ოსერი-აიაქსი | 2.5 | 1.4 |
| 18367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 1.2 | 3.5 |
| 18368 | ბენფიკა-ცსკა | 3.5 | 1.2 |
| 18369 | ლილი-ბაზელი | 1.4 | 2.5 |
| 18370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.05 | 6.0 |
| 18371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.8 | 1.7 |
| 18372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.5 | 2.2 |

### ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.35 | 2.5 |
| 16358 | შალკე-შახტარი | 1.2 | 3.3 |
| 16359 | ალკმაარი-ალემანია | 1.05 | 4.8 |
| 16360 | სტიაუა-ვალენსია | 2.2 | 1.45 |
| 16361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.3 | 2.7 |
| 16362 | შტუტგარტი-პარმა | 1.15 | 4.0 |
| 16363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.35 | 2.5 |
| 16364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.1 | 4.7 |
| 16365 | ოსერი-აიაქსი | 1.35 | 2.5 |
| 16366 | აუსტრია-ბილბაო | 1.9 | 1.65 |
| 16367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 1.4 | 2.5 |
| 16368 | ბენფიკა-ცსკა | 1.3 | 2.7 |
| 16369 | ლილი-ბაზელი | 1.2 | 3.3 |
| 16370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.1 | 4.7 |
| 16371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.2 | 3.3 |
| 16372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.25 | 3.1 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.85 | 1.95 |
| 17358 | შალკე-შახტარი | 1.9 | 1.9 |
| 17359 | ალკმაარი-ალემანია | 1.9 | 1.9 |
| 17360 | სტიაუა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | შტუტგარტი-პარმა | 1.9 | 1.9 |
| 17363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17365 | ოსერი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17366 | აუსტრია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17368 | ბენფიკა-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17369 | ლილი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.85 | 1.95 |
| 17371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.7 | 1.9 |
| 13358 | შალკე-შახტარი | 1.9 | 1.7 |
| 13359 | ალკმაარი-ალემანია | 1.9 | 1.7 |
| 13360 | სტიაუა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.7 | 1.9 |
| 13362 | შტუტგარტი-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 13363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.9 | 1.7 |
| 13365 | ოსერი-აიაქსი | 1.7 | 1.9 |
| 13366 | აუსტრია-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 1.7 | 1.9 |
| 13368 | ბენფიკა-ცსკა | 1.7 | 1.9 |
| 13369 | ლილი-ბაზელი | 1.9 | 1.7 |
| 13370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.9 | 1.7 |
| 13371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.7 | 1.9 |
| 13372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14357 | დნიპრო-პარტიზანი | 1.7 | 2.2 |
| 14358 | შალკე-შახტარი | 1.45 | 2.4 |
| 14359 | ალკმაარი-ალემანია | 1.2 | 2.6 |
| 14360 | სტიაუა-ვალენსია | 2.1 | 1.75 |
| 14361 | სოშო-ოლიმპიაკოსი | 1.7 | 2.2 |
| 14362 | შტუტგარტი-პარმა | 1.3 | 2.5 |
| 14363 | ფეიენოორდი-სპორტინგი | 1.65 | 2.3 |
| 14364 | ნიუკასლი-ჰერენვენი | 1.2 | 2.6 |
| 14365 | ოსერი-აიაქსი | 1.7 | 2.2 |
| 14366 | აუსტრია-ბილბაო | 1.95 | 1.85 |
| 14367 | სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 1.7 | 2.2 |
| 14368 | ბენფიკა-ცსკა | 1.65 | 2.3 |
| 14369 | ლილი-ბაზელი | 1.45 | 2.4 |
| 14370 | მიდლსბრო-გრაცერი | 1.2 | 2.6 |
| 14371 | სევილია-პანათინაიკოსი | 1.3 | 2.5 |
| 14372 | ვილიარეალი-დინამო(კ) | 1.45 | 2.4 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15357 დნიპრო-პარტიზანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15358 შალკე-შახტარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15359 ალკმაარი-ალემანია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15360 სტიაუა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15361 სოშო-ოლიმპიაკოსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15362 შტუტგარტი-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15363 ფეიენოორდი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15364 ნიუკასლი-ჰერენვენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15365 ოსერი-აიაქსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15366 აუსტრია-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15367 სარაგოსა-ფენერბაჰჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15368 ბენფიკა-ცსკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15369 ლილი-ბაზელი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15370 მიდლსბრო-გრაცერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15371 სევილია-პანათინაიკოსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15372 ვილიარეალი-დინამო(კ) | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# მაისურები ჩქარა

## თსუ-მ სტუ-ს უფროსობა თამაშზე დაპატიჟა

**დღეს** სტუდენტური დერბია სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების გუნდებს შორის, ოღონდ ის ინტრიგა, რომელიც ტრადიციულად ახლავს ხოლმე ამ მატჩს, გამქრალია. მოგეხსენებათ, თსუ გასულ კვირას ფაქტობრივად დაიშალა, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორ რუსუდან ლორთქიფანიძესთან შეხვედრამ გუნდის მწვრთნელებს იმედი ჩაუსახა და სტუდენტებიც, თუმც ისევ ენთუზიაზმის ხარჯზე, კვლავ აგრძელებენ ჩემპიონატში მონაწილეობას. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ საამატჩო პრესკონფერენციაზეც მთავარი თემა თსუ-ს პრობლემები იყო, საკუთრივ თამაშზე კი ერთი-ორი ითქვა მხოლოდ.

სანამ გუნდების მწვრთნელები იტყოდნენ სათქმელს, კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ გადადებული მატჩების გამართვის თარიღი გვამცნო. ამასწინანდელი დიდთოვლობის გამო თელავში გასამართი ორი მატჩი გადაიდო. კახეთის მთავარ ქალაქში მოყინული გზების გამო „სტუ-ჯეოსელი“ და „თბილავიამშენი“ ვერ ჩავიდნენ, რის გამოც ეს შეხვედრები 4-5 მარტს ჩატარდება.

შემდეგ კი დადგა მწვრთნელთა ჯერიც და პირველი სიტყვა, ცხადია, გასაჭირში მყოფ თსუ-ს თავკაც მამუკა ტურაშვილს ერგო...

— გადავწყვიტეთ, რომ არ დავიშალოთ. უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ დაგვაიმედა.

— დაპირებები არც აქამდე გაკლდათ...

— არ გვაკლდა, მაგრამ ახლა უშუალოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან ვიგრძენით თანადგომა და უფლება არ გვაქვს, მის სიტყვას არ ვენდოთ. ქალბატონ რუსუდანთან ჩვენ აქამდეც არაერთხელ გვინდოდა შეხვედრა, დროც დათქმული იყო, მაგრამ რექტორმა საპატიო მიზეზების გამო ვერ მოიცალა და ჩვენც მისი მოადგილეებისგან ვისმენდით საიმედო სიტყვებს, ახლა კი უშუალოდ ლორთქიფანიძეს ვესაუბრეთ. მისგან შევიტყვეთ, რომ უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის არსებობას მისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ქალბატონმა რუსუდანმა გვითხრა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი მითქმა-მოთქმაა და ისე გამოდის, თითქოს მის გამო უნდა დაიშალოს გუნდი. მას არ სურს, რომ ეს მოხდეს. როცა იქნება, ხელფასებსაც დაგვირიგებენ.

— როცა იქნება, თუ კონკრეტული ვადა დაითქვა?

— ვადა არ დათქმულა და ჯერჯერობით არც ისაა ცნობილი, თუ რა გზით დაგვიფარავენ დავალიანებას. მე ვენდე ქალბატონ რუსუდანს და ბიჭებმაც თქვეს, ვითამაშებთო.

— სტუ-სთან მატჩს როგორ ხვდებით?

— ორი კვირაა, არ გვივარჯიშია, გუშინ შევედით დარბაზში და თავად განსაჯეთ, როგორც ვართ მომზადებულნი. შედეგიც ალბათ შესაბამისი იქნება, თუმც ჩვენ არაფერს დავიშურებთ. ეგაა, მაისურები გვაკლია და ამის გამო დავით ხიზანიშვილი და გიორგი ლომიძე ვერ ითამაშებენ.



დავით ხიზანიშვილი უმაისურობის გამო ვერ ითამაშებს

*ტექნიკოსების თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა მოკლედ მოჭრა:*

„კალენდრის შეცვლამ დავთრები აგვირია. სადაც ჩვენ ვვარჯიშობთ, იმ დარბაზში არაერთი გუნდი ემზადება და სრულყოფილად ვარჯიშს ვერ ვახერხებთ. სამაგიეროდ, თეორიული მეცადინეობებისთვის გვრჩება მეტი დრო და, ეტყობა, ეს ჩემს გუნდს ძალიან ეხმარება. ვეცდებით, წაუგებელი სერია გავაგრძელოთ და ცხრილის სათავეში გავმაგრდეთ.“

ბოლოს ჭეიშვილს დაეკითხნენ, თუ რატომ აღარ ესწრება ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა „სტუ-ჯეოსელის“ მატჩებს. ტექნიკოსთა თავკაცმა თქვა, რამდენჯერაც რექტორი მოვიდა, ლამის ყველა მატჩი წავაგეთო და თსუ-სთან შეხვედრა გაიხსენა: „მახსოვს, სწორედ ხვალინდელ მეტოქესთან ვთამაშობდით, როცა ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოვიდა დარბაზში. პირველ ტაიმში 27 ქულას ვიგებდით და ფეხი ფეხზე გადავიდეთ, ეგაა და გავიმარჯვეთო, მაგრამ ის თამაში საწაულებლივად წავაგეთ, რაც არასდროს დამავიწყდება.“

ამის გამგონე, თსუ-ს მწვრთნელმა ჭეიშვილს ხუმრობით უთხრა, ეგებ ხვალაც დაგეპატიჟათ თქვენი ხელმძღვანელობაო.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

22 თებერვალი

**შარლოტი 102:112 მილუოკი**

**შარლოტი:** ნაითი (19), რაში (12), უოლესი (16), ოკაფორი (12), ბრეზეცი (14 ქულა, 11 მოხსნა); ბოგანსი (13), ელი (12), ტ. სმიტი (4), კაპონო, ს. სმიტი

**მილუოკი:** უილიამსი (8 ქულა, 14 პასი), რედი (39), მეისონი (20), ჯ. სმიტი (12 ქულა, 10 მოხსნა), გაძურიჩი (9); ჯეიმსი (9), *ფაჩულია* (18 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ვან ჰორნი (4)

**საკრამენტო 114:104 ატლანტა**

**საკრამენტო:** ვებერი (30), ბიბი (23), მობლი (20), მილერი (16 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი)

**ატლანტა:** ჰარინგტონი (25), უოლკერი (23), სმიტი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 82:100 ტორონტო**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (22), კიდი (20 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

**ტორონტო:** როუზი (28), ბოში (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ჩიკაგო 105:101 მაიამი**

ძირითადი დრო 92:92

**ჩიკაგო:** გორდონი (29), კარი (16), დენგი (14)

**მაიამი:** ვეიდი (21 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 3 დაფარება), დ. ჯონსი (18)

**ორლანდო 84:108 ინდიანა**

**ორლანდო:** ნელსონი (15), ჰილი (14)

**ინდიანა:** ონილი (20), ჯონსი (18)

**დეტროიტი 97:88 ნიუ იორკი**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (19), პრინსი (19), ბილაფსი (15)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (23), კ. ტომასი (15 ქულა, 17 მოხსნა), ტ. ტომასი (15)

**ჰიუსტონი 85:87 სიეტლი**

**ჰიუსტონი:** მინგი (30), ვესლი (19), მაკგრეიდი (17)

**სიეტლი:** ალენი (29), ლუისი (23)

**ლეიკერსი 104:95 ბოსტონი**

**ლეიკერსი:** ოდომი (21 ქულა, 11 მოხსნა), ბრაიანტი (21), მიმი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ბოსტონი:** პირსი (25), დევისი (25)



# ამერიკული გაქანება

**ნიუ იორკი ჩვეული გრანდიოზული მასშტაბურობით მასპინძლობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიის წევრებს. ამ კომისიის წევრები, მოგეხსენებათ, ახლა ეცნობიან 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის შესაძლებლობებსაც. ნიუ იორკის საგანაცხადო კომიტეტმა შემფასებელი კომისიის წევრთა მისაღებად და მათ ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯებისთვის 3 მილიონი დოლარი გამოყო, ქალაქი კი სტუმრებს ოლიმპიური სიმბოლიკით აჭრელებული დახვდა**

**სტუმრები** მიიყვანეს კუინსში, მდინარე ისტ რივერის სანაპიროზე, სადაც ოლიმპიური სოფლის მშენებლობაა დაგეგმილი.; სტუმრებს დაათვალიერებინეს საკონცერტო დარბაზი „მედისონ სკვერ გარდენი“, იყვნენ მანჰეტენზე ვესტ საიდის სათამაშო მთავარი არენის ქვემოთ მოედანზე...

ორგანიზატორებმა იმავე მარშრუტით გაატარეს ჟურნალისტებიც, რომლებიც სოკელ ინსპექტორებს ორჯერ გადაეყარნენ. ჩვენი კოლეგები მათგან დიდი მონდომებით ცდილობდნენ ნანახ-გაგონილზე შთაბეჭდილებების გაზიარებას, სტუმრები კი ყოველივეზე დუმდნენ, რადგან კომენტარები ეკრძალებათ. კომისიის წევრები თავიანთ მოსაზრებებს წერილობით დადებენ მას მერე, რაც ხუთივე კანდიდატ ქალაქში დაასრულებენ ტურნეს.

ორშაბათს ოლიმპიური თამაშების მხარდასაჭერად როკფელერ ცენტრის საციგურაოზე გაიმართა საზოგადოების მიტინგი, სადაც გამოვიდა 1994 წლის ოლმიპიური თამაშების უკრაინელი ჩემპიონი ოქსანა ბაიული. სამშაბათს ცენტრალურ პარკში მარათონელები დარბოდნენ. ოთხშაბათს მეხუთე ავენიუზე თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა და ლეგენდარულმა რუმინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნადია კომანეჩიმ, რომელიც ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ამერიკელ ქმართან ბარტ კონერთან ერთად გამოვიდა. იქვე გამოვიდა უძრავი ქონების მაგნატი დონალდ ტრამპი.

საგანაცხადო კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორის ჯეი კრიგელის თქმით, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ხელში ჩასაგდებად პარიზთან, ლონდონთან, მოსკოვთან და მადრიდთან ბრძოლაში ნიუ იორკის მთავარი კოზირი გახლავთ სპორტული ბაზების უმრავლესობისა და მთავარი პრესცენტრის ერთმანეთთან სიახლოვე, რაც ემპაირ სტეიტ ბილდინგის ცათამბჯენიდან სულ რაღაც 2,5 კილომეტრითაა დაშორებული. ამასთან უკვე დღესვე მზადაა ქალაქის ცენტრში სასტუმროების ათი ათასი ნომერი. ნიუიორკელები თავიანთ კოზირად თვლიან მოსახლეობის ეთნიკურ სიჭრელესაც.




ნიუიორკელი ოლიმპიური თამაშების მხარდამჭერები




ოქსანა ბაიული და ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი როკფელერ ცენტრში გამოსვლისას

„ჩვენ ახლა გვყავს 170 ენაზე მთარგმნელი და გვაქვს უამრავი რესტორანი, სადაც ნებისმიერ ეროვნულ კერძს ამზადებენ. ჩვენთან არც ერთი გუნდი არ იგრძნობს გულშემატკივართა მხრიდან პასიურობას“ — თქვა კრიგელმა.

ნიუ იორკის საგანაცხადო კომიტეტის საერთო ბიუჯეტი 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს. როგორც ამ კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მაიკლ მორანმა განაცხადა, „ნიუ იორკი გარანტიას იძლევა ყველა საინტვესტიციო პროექტის განსახორციელებლად და უკლებლივ ყველა ობიექტის დროულად ჩაბარებას“.

კითხვაზე, ხომ არ აშინებთ ორგანიზატორებს უშიშროებასთან დაკავშირებული ვითარება, მან თქვა, რომ ნიუ იორკის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ეს ქალაქი ამერიკაში ყველაზე უხიფათო ქალაქი გახდა.

რაც შეეხება პროექტის ეკონომიკურ მხარეს, მორანის თქმით, ამერიკაში გამართული ყველა ოლიმპიური თამაში ფინანსურად წარმატებული გამოდგა.

ნიუ იორკის საგანაცხადო კომიტეტის მთავარი პრობლემა დღესდღეობით ოლიმპიური ბაზების მშენებლობაა. პენსილვანიის რკინიგზის ვაგზლის სათადარიგო ხაზების ადგილზე სტადიონის აშენების წინააღმდეგ გამოდიან ადგილობრივი მცხოვრებლები და დოლანების ოჯახის წევრები, რომლებიც იქვე მდებარე მედისონ სკვერ გარდენის მფლობელები არიან. მათი ერთი ნაწილი თვლის, რომ იქ გიგანტური ნაგებობების მშენებლობა ვესტ საიდის სატრანსპორტო ვითარებას სრულიად კატასტროფულს გახდის. მეორენი კი შიშობენ, რომ ახალი სტადიონი მათ შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეამცირებს. ამიტომაც დოლანებმა გაამზადეს განცხადება, რათა ამ მონაკვეთზე სატრანსპორტო ხელისუფალთაგან მიწის ნაკვეთი 600 მილიონ დოლარად იყიდონ. ამის გამო ნიუ იორკის მერმა მაიკ ბლუმბერგმა დოლანების ოჯახს „ანტიამერიკული“ უწოდა. სამშაბათს საგანაცხადო კომიტეტის წევრები მაქსიმალურად ცდილობდნენ ვესტ საიდის კონფლიქტის ჩაცხრომას. როგორც ჟურნალისტებს კრიგელი დაჰპირდა, სტადიონის მშენებლობა, რაც 1,4 მილიარდი დოლარი დაჯდება, უახლოეს ორ თვეში მწვანე შუქს მიიღებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ესე იგი, ჟენია...
## ლინეცკაიას ქართველი ნაყვარება

**რუსული** ჩოგბურთის ერთ-ერთ იმედის გოგოს, 18 წლის ევგენია ლინეცკაიას კორტზე ჯერ იმნაირი არაფერი გაუკეთებია, მისთვის სპეციალური მასალა გვემეტებოდეს. მსოფლიოს რეიტინგსიის ორმოცდაათეულში მოთამაშე ბუთხუზგოგოს წლეულს სპორტული საქმეები აშკარად არ ასწყობია და ალბათ თანამემამულე ჟურნალისტებსაც არ გაახსენდებოდათ, რომ არა ერთი ფაქტი.

ლინეცკაიასა და მისი აწ უკვე ყოფილი პირადი მწვრთნელის ვლადიმერ კამელზონის ოდინდელ განშორებას ჩოგბურთელისთვის არასასიამოვნო გაგრძელება ახლაღა მოჰყვა. 67 წლის მწვრთნელმა პიკანტური სკანდალის აგორება სცადა და გამოუვიდა კიდეც.



ევგენია ლინეცკაია



თემურ გაბაშვილი

„ჩვენი თანამშრომლობა ევგენიას მამამ შეწყვიტა. ეჭვიანობდა, თითქოს მისი გოგონასადმი ვილტვოდი და ჩემი ჩანაფიქრების ასასრულებლად ყველა ღონეს ვხმარობდი — ამბობს მოსკოვის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი და უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი — დამიჯერეთ, მსგავსი არაფერი მიფიქრია. ის კი არა, ჩემზე ხშირად ჟენიასთან ჩემი მეუღლე, ასევე მწვრთნელი ნატალია როჟკოვა მუშაობდა."

კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და საინტერესოა, მართლა იყო თუ არა რომანიო — კითხულობს ერთი რუსული სპორტული ვებ-გვერდი, თუმც ხელჩასაჭიდს ბევრს ვერაფერს პოულობს. თავად ჩოგბურთელი სიმშვიდეს არჩევს და უფროსების დაპირისპირებაში არ ერევა. მისი ფიქრები სულ სხვაგან დაფრინავს, თუმც ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი ჟენიას მამის ვერსიაც მოვისმინოთ. მაშ ასე, ჟენიას მამა:

„კიბერნეტიკოსი კაცი ვარ, მეცნიერებათა კანდიდატი. ჩემი პატიოსანი შრომით პურის ფული არასოდეს მომნატრებია, მაგრამ ერთ დღეს ქალიშვილისთვის მეტი ყურადღების დათმობა გადავწყვიტე და სამსახური მივატოვე. მას შემდეგ ჟენიას ვარჯიშებზეც დავატარებ, მის თამაშს არ ვაცდენ და ბოლოს შინაც ერთად მივდივართ ხოლმე. მწვრთნელთან რომანი არც ყოფილა და უბრალოდ, ვერც იქნებოდა. ამაზე არასოდეს მილაპარაკია. ჩემი აზრით, ვლადიმერ ნაუმოვიჩს სკანდალური განცხადებით საკუთარი თავისთვის რეკლამის გაკეთება მოუნდა. ჩემი გოგოს პირველ ნაბიჯებში მისი შრომაც დევს და ხალხისთვის ალბათ ამის შეხსენება გადაწყვიტა."

ბოლოს კი დანაპირები ინფორმაციაც, რომელმაც რუსი ჟურნალისტის ჟენიაზე ნაწერი თავიდან ბოლომდე [illegible]. ლინეცკაიას დაქალების მტკიცებით, ჟენიას, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული სწვევია. რუსი მეჩოგნის ბოიფრენდი 19 წლის თეიმურაზ გაბაშვილი გამხდარა. წყვილი რამდენჯერმე კინოპრემიერებსა და დისკოთეკებზეც უნახავთ.

„თემური თბილისში დაიბადა, თუმც რუსეთის სახელით თამაშობს — იუწყება ვებ-გვერდი — მან უკვე ჟენიას მამის გულის მოგებაც მოასწრო, მაგრამ სისტემატური ურთიერთობა არ ხერხდება, რადგან გაბაშვილი ესპანეთში ვარჯიშობს და შესაბამისად, იქ უფრო ხშირადაა, ვიდრე რუსეთში."

ჩვენ კი დავძენთ, რომ ლინეცკაიასაც და გაბაშვილსაც თავის დროზე ქართულ კორტებზეც უქნევიათ ჩოგანი და არცთუ ურიგოდ. თემურმა ორი წლის წინათ, სულ რაღაც ორკვირიან მონაკვეთში ორი ქართული საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ჟენიამაც 2003 წელს იყოჩაღა. ბათუმის 75-ათასიანი ტურნირი კვალიფიკაციიდან დაიწყო და ფინალს უწია, იქ კი თანამემამულე ელენა ტატარკოვასთან წააგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# უდაბნოს ქვეშა დუბაის კორტზე



REUTERS

ნიკოლას კიფერი

### დუბაის ხვადთა ღია პირველობათა
მაგარსაფარი

საპრიზო 975 ათასი $

### პირველი წრე

**ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 7:6 (7:2) 6:4; **ტიმ ჰენმანი** (3, ბრიტანეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 4:6 7:6 (9:7) 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 6:0; **მიხაილ იუჟნი** (7, რუსეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:1) 6:1; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 6:2 3:6 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — მარკო კიუდინელი (შვეიცარია) 6:3 7:5

რუსთა დევისნაკრები 4-დან 6 მარტამდე მოსკოვში ჩილელებს უნდა ერკინოს და ამ შეხლისთვის უკანასკნელი სამზადისის გავლას რუსები სწორედ დუბაიში გეგმავდნენ. ამიტომაც იყო, რომ იქ ოთხივე მენაკრებე — მარატ საფინი, მიხაილ იუჟნი, იგორ ანდრეევი და ნიკოლაი დავიდენკო ჩავიდა. ამათგან ყველაზე დიდ ინტერესს — ბუნებრივია — წლევანდელი ავსტრალიობის მაოხარ საფინის თამაში იწვევდა. იმედი გვქონდა, რომ ის და როჯერ ფედერერი ფინალამდე გააღწევდნენ და იქ მათი შესრულებით კიდევ ერთ დაუვიწყარ ბურთაობას ვნახავდით.

მაგრამ ზორბა რუსი ამჟამადაც გამოირჩა და, მაშინ როცა მისმა თვისტომებმა ბითუმად გაივაკეს, თავად რეიტინგსიის 88-ეადგილოსან ნიკოლას კიფერს პირველივე წრიდან აებარგებინა. პირველი სეტის ბედი ტაიბრეიკმა გადაწყვიტა, მეორეში კი გერმანელი თავიდანვე დაწინაურდა და უპირატესობის შენარჩუნება ბოლომდე შეძლო. ნამატჩევს საფინი უარს ამბობდა იმაზე, რომ თავისი ნაადრევი ოტება ავსტრალიაში მოგების შემდეგ აღებული ათდღიანი პაუზისთვის დაებრალებინა და მარცხის უმთავრეს მიზეზად დუბაური მაგარსაფრის სისწრაფე დაასახელა, აქაოდა, კორტი ბურთს მოსალოდნელზე უფრო სწრაფად ისხლეტდა და კალაპოტიდან ამან ამომაგდოო.

კორტის საფარი მართლაც აჩქარებული გახლდათ — ამის მიზეზი უდაბნოს ქართა მიერ მოტანილი ქვიშა ყოფილა, და ისიც მართალი იყო, რომ ეს გარემოება ტურნირის 2000 წლის ჩემპიონსა და კიდევ ორგზის ფინალისტ კიფერს უფრო ეამა, ვიდრე საფინს.

რუსებმა თავიანთი ჯილის მოულოდნელი მარცხის ახსნა სხვანაირად სცადეს — საფინი დასავლელ ჟურნალისტთა მიერ მისთვის ლოთობაზე დასმული კითხვებით გალიზიანებულიყოო, მაგრამ თავად მარატს ასეთი რამ ნამატჩევს არ უთქვამს. მან კაცურად აღიარა, რომ უფრო მრავალფეროვნად მოჩოგნავე გერმანელმა მას ჰალალებრ აჯობა. სხვაფრივ — ეს მისი და კიფერის უკვე მეექვსე შეხლა იყო და ამ მატჩის მერე ანგარიში 3:3-ა.

### მექსიკის ღია პირველობა
აკაპულკო. თიხნარი

საპრიზო 618 ათასი $

### პირველი წრე

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4 7:6 (7:4); **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) — გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) 6:2 5:7 გაუდიომ ბარძაყის ტრავმის გამო შეწყვიტა; **ფილიპო ვოლანდრი** (6, იტალია) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:2 7:6 (10:8); **დავიდ ფერერი** (7, ესპანეთი) — რიკარდო მელუ (ბრაზილია) 4:6 6:3 6:2; **რაფაელ ნადალი** (8, ესპანეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:4 6:4

### TENNIS CHANNEL OPEL
სკოტსდეილი მაგარსაფარი

საპრიზო 355 ათასი $

### პირველი წრე

**ვინს სპედია** (2, აშშ) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 1:6 7:6 (7:4) 7:6 (7:2); **მარიო ანჩიჩი** (3, ხორვატია) — ბრენდან ევანსი (აშშ) 3:6 6:2 6:3; **უეინ ართურსი** (ავსტრალია) — ტაილორ დენტი (4, აშშ) 3:6 6:3 7:6 (7:5); **კევინ კიმი** (5, აშშ) — ჰორია ტეკაუ (რუმინეთი) 6:3 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — კენეტ კარლსენი (7, დანია) 7:6 (11:9) 7:5; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ტომას ბერენდი (გერმანია) 7:5 1:6 6:4

**ლევან ქელაურაძე**



# იაპონელთა კოზირები: პუნქტუალობა, ელეგანტურობა, ექსტრავაგანტურობა, გამოცდილება

**2007 წელს** მსოფლიოს თასს წამყვანი სარაგბო ქვეყნები საფრანგეთში გაითამაშებენ. ეს გადაწყვეტილი ამბავია, თუმცა წლეულს ნოემბერში 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელი უნდა გამოავლინონ. კანდიდატი რამდენიმე ქვეყანაა, მათ შორის ისეთებიც, რაგბის სამყაროში სიტყვა რომ ეთქმით, მაგრამ, როგორც ბოლოხანს გამოჩნდა, სამხრეთ აფრიკას და ახალ ზელანდიას შეიძლება ისეთმა არასარაგბო ქვეყანამ აჯობოს, როგორიც იაპონიაა.

რატომაც არა, იაპონია მსოფლიოს თასის გათამაშებაში სტაბილურად ხვდება და მიუხედავად იმისა, რომ 16 თამაშიდან მხოლოდ 1 აქვს მოგებული, ამ ქვეყნის ჩამოწერა მაინც არ იქნება.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში ყოველ ახალ წამოწყებას სერიოზულად უდგებიან. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში იაპონელებს ბადალი არ ჰყავთ. გერმანელებივით პუნქტუალურები, ფრანგებივით ელეგანტურები და ამერიკელებივით ექსტრავაგანტულები არიან. თან იაპონელებს მსგავსი ღონისძიებების ჩატარების დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. ზამთარ-ზაფხულის ოლიმპიადებისთვისაც უმასპინძლიათ მსოფლიოს უნივერსიადებისთვისაც და საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც.

სხვათა შორის, იოკოჰამას სტადიონი, რომელიც 70 000 კაცს იტევს, თურმე იდეალური იქნებოდა ფინალური მატჩის გასამართად. ამის შესახებ რაგბის საერთაშორისო საბჭოს მდივანმა, სიდ მილერმა განაცხადა, სტადიონს დიდი საფინალო მატჩისთვის უკვე უმასპინძლია. 2002 წლის საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი სწორედ აქ ჩატარდა.

ერთი სიტყვით, სიდ მილერის მხარდაჭერა იმაზე მიანიშნებს, რომ IRB საკითხის იაპონიის სასარგებლოდ გადაწყვეტასთან ძალიან ახლოსაა.

სამხრეთ აფრიკის კანდიდატურაც საკმაოდ წონიანია, თუმცა მათ ერთი რამ უშლით ხელს. 2010 წელს აქ მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს ფეხბურთში და, სპეციალისტთა აზრით, ორი ასეთი ტურნირის ზედიზედ მასპინძლობა ქვეყანას გაუჭირდება.

ახალ ზელანდიას ჯერ კიდევ 2003 წელს სურდა მსოფლიოს თასის მასპინძლობა ავსტრალიასთან ერთად, თუმცა ბოლოს გადაწყდა, რომ ავსტრალია ტურნირს მარტო უმასპინძლებდა. ეტყობა, IRB-ს ზელანდიური ინფრასტრუქტურა არ მოუვიდა თვალში.

**ლადო ჭულუკიძე**



საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გურამ აბსანძე ჟურნალისტებთან შეხვედრისას

# თბილისი სტუმრებს დახვდება, კასპაროვი კი რუსეთში ფარდების რევოლუციას დაატრიალებს



ზურაბ აზმაიფარაშვილი

**25-28 თებერვალს** თბილისში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაა დაგეგმილი და ჩვენს დედაქალაქში დიდი სტუმრიანობა იქნება. თავად ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ჩამოდის და თან 19 ქვეყნის წარმომადგენელი მოჰყვება. ამასთან დაკავშირებით გუშინ ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გამართა.

— საქართველოში პირველად ტარდება ფიდეს ასეთი საერთაშორისო სხდომა. ეს კი იმან განაპირობა, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს ბრძნული თამაში, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ჭადრაკის განვითარებაში, აღმავლობის გზაზეა. ასევე დიდი როლი ითამაშა ჩვენმა ხელისუფლებამ და მათმა აქტიურმა მხარდაჭერამ ჭადრაკისადმი. ფიდემაც ყველა ეს ნიუანსი გაითვალისწინა და პატივი დაგვდო, ამ დიდი შეხვედრისთვის გვემასპინძლა.

ამ მოვლენას სპორტული მნიშვნელობის გარდა, დამეთანხმებით პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ესე იგი ჩვენს ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობაა და ჭადრაკსაც დიდი ყურადღება ეთმობა.

საბჭოს სხდომა სამ დღეს გაგრძელდება და ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელებენ პროგრამაში:

*— ფიდეს გენერალური მდივნის არჩევა*

*— მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების განხილვა*

*— მსოფლიო ჭადრაკის გაერთიანების საკითხი*

*— პრაღის ხელშეკრულების გადასინჯვა*

*— ზურაბ აზმაიფარაშვილის სასამართლო საკითხის განხილვა*

ნავარაუდევია 19 მაღალჩინოსნის ჩამოსვლა. ჩვენი ვალია, ღირსეულად შევხვდეთ სტუმრებს და ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. ეს მოვლენა უფრო გაამდიდრებს ქართული ჭადრაკის ისტორიას და განვითარებაშიც დიდად შეგვიწყობს ხელს.

ამის შემდეგ იქ შეკრებილმა საზოგადოებამ კითხვებით მიმართეს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს

— სტუმრები უკვე ნელ-ნელა ჩამოდიან, სხდომა კი 26 თებერვალს სასტუმრო „მარიოტში" 9 საათზე დაიწყება და ჟურნალისტებისთვის დახურული იქნება. თანაც სხდომამ შეიძლება მთელ დღეს გასტანოს და ჟურნალისტებს ეს ბევრ უხერხულობას შეუქმნის. ისე კი სტუმრები ალბათ გამონახავენ ნახევარ საათს პრესის წარმომადგენლებთან სასაუბროდ.

საბჭოზე ასევე განიხილება სასამართლო პროცესის საკითხი, რომელიც ოლიმპიადაზე ჩემს მიმართ მომხდარ ინციდენტს შეეხება.

საუბარში კვლავ გურამ აბსანძე ჩაერთო:

გვსურს საქართველოში შეიქმნას ჭადრაკის საერთაშორისო აკადემია. ვფიქრობთ, ამის თაობაზე ხელისუფლებას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუმც ეს ფიდეს პრეზიდენტ ბატონ კირსან ილუმჟინოვის ნებართვის გარეშე არ მოხერხდება. მსგავსი აკადემია არსებობს ბერლინსა და სინგაპურში. ეს აკადემია ხელს შეუწყობს ჩვენს და საერთოდ მთელ მსოთლიოში ჭადრაკის განვითარებას. აქ ჩამოვა ბევრი ცნობილი სპეციალისტი, გამართავენ სემინარებს, დაოსტატდებიან მოჭადრაკეები.

საუბარი კვლავ ზურაბ აზმაიფარაშვილმა გააგრძელა:

— დიდი გეგმები გვაქვს, ბატონ გურამ აბსანძის მოსვლის შემდეგ გვსურს, რომ საქართველოში ჩატარდეს მსოფლიოს მნიშვნელობის ტურნირები.

საერთოდ, ფიდე კონგრესებსა და ყრილობებს ღიად ატარებს, მაგრამ აქ სხვა შემთხვევაა, რადგანაც გარი კასპაროვია ჩარეული. ამიტომ გვირჩევნია ჯერ ჩვენ ერთად შევათანხმოთ ეს საკითხი და პრესას შემდეგ ვაცნობოთ.

მოგეხსენებათ, როცა პრაღის ხელშეკრულება მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს გასაერთიანებლად, შეიქმნა, მაშინ ამ დოკუმენტს ხელი პირველებმა კასპაროვმა და ილუმჟინოვმა მოაწერეს. ახლა თუ კასპაროვი ამ საქმეს ჩამოშორდება, დოკუმენტს პრაქტიკულად ძალა დაეკარგება.

რა თქმა უნდა, ყველას დაგვაინტერესა კასპაროვის ასეთმა დამოკიდებულებამ ჭადრაკისადმი, რაზეც ზურაბ აზმაიფარაშვილმა თავისი აზრი გვითხრა:

— მოგეხსენებათ, საქართველოსა და უკრაინაში რა ამბებიც მოხდა, მხედველობაში მაქვს უსისხლო რევოლუციები. ამის მსგავსი მზადდება რუსეთშიც და კასპაროვიც აქტიურად არის ჩართული პროცესში. შესაძლოა, მან მსოფლიო ჭადრაკში თავის საქმიანობა უკვე საკმარისად ჩათვალა და ახლა პოლიტიკაში ცდის ბედს.

**ლუკა გეგეჭკორი**



# ისინი ჩამოვიდნენ მთიდან

## თურმანიძე საქმეს თავიდან იწყებს

**დღეს** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებს მთავარ მწვრთნელად ზაზა თურმანიძე დაუბრუნდება. ფედერაციის პრეზიდენტისგან გადარჩეულმა და რამდენიმე დღეში პრეზიდიუმისგან უფლებამოსილებააღდგენილმა თურმანიძემ ბაკურიანული შეკრება აწ უკვე პრეზიდენტყოფილის, ბაკურ გოგიტიძის მიერ არჩეულ ზაზა ტყეშელაშვილს ჩაამთავრებინა, დღეიდან კი ძველ საქმეს გადაიბარებს და ნაკრების საევროჩემპიონატო სამზადისს დაიწყებს.

თავისუფლებმა ზაზა ტყეშელაშვილის თავკაცობით მხოლოდ ერთი შეკრება გაიარეს, თუმც გამორიცხული არაა, თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს. თურმანიძისა და ტყეშელაშვილის ერთობლივ მუშაობაზე ჯერ კონკრეტული არაფერი თქმულა, თუმც აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ გუნდის გადაბარება მშვიდ ვითარებაში, ყოველგვარი გართულების გარეშე მოხდება.

„თურმანიძე და ტყეშელაშვილი მეგობრები არიან და გარწმუნებთ, არანაირი კონფლიქტი არ მოხდება — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ყაზარაშვილმა — ნაკრებს მთავარი მწვრთნელი გადაიბარებს და მოახლოვებული ევროპის ჩემპიონატისთვის მოამზადებს".

ტყეშელაშვილთან სამომავლო თანამშრომლობაზე თურმანიძემ გარკვევით ვერაფერი გვითხრა. ჯერ ამაზე საუბარიც არ ყოფილა, თუმც ზაზას უდიდეს პატივს ვცემო.

პირველ საერთაშორისო ტურნირზე საჭიდაოდ თავისუფლები ამ დღეებში უნდა წასულიყვნენ თურქეთში, მაგრამ მის ნაცვლად გეგმაში 4-5 მარტის სოფიას ტურნირი ჩასვეს.

12-13 აპრილს ევროპის ჩემპიონატს სწორედ სოფია მასპინძლობს და ახალი გადაწყვეტილების მიზეზიც ეს გახდაო — გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა.

ბულგარულ ტურნირამდე დარჩენილ დღეებს თურმანიძის სამწყსო ფალავანთა კლუბში ვარჯიშში გალევს. ტურნირსა და ევროპირველობას შორის კი კიდევ ორ მთის შეკრებას მოასწრებს.

თურქული ვარიანტი ბულგარულით ბერძენ-რომაელებმაც შეცვალეს, თუმც ისინი, თავისუფლებისგან განსხვავებით, ჯერაც ბაკურიანში რჩებიან.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე სკანდალი კლასიკოსთა გაფიცვით დაიწყო. მოჭიდავეები შეკრებაზე მანამ არ წავიდნენ, სანამ მწვრთნელად ბეგი დარჩია არ დაუბრუნეს, ამას კი დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდა და ახლა იმ დაკარგულ დღეებს ინაზღაურებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ზაზა თურმანიძე

## ფეხბურთი

### ინგლისი

**ჩემპიონატი. XXXV ტური**

ქოვენთრი 1:2 უიგანი

დერბი ქაუნთი 1:1 ბარნლი

ნოტინგემი 2:0 პრესტონი

**პირველი ლიგა. XXXIV ტური**

შეფილდ უენსდი 2:1 პიტერბრო

სუინდონი 1:0 პორტ ვეილი

**მეორე ლიგა. XXXIV ტური**

ბოსტონი — ნოტსი *გადაიდო*

ოქსფორდი — მაკლსფილდი *გადაიდო*

### ამხანაგური მატჩი

მექსიკა — კოლუმბია *დილით გაიმართა*

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ბურჯ ალ არაბის მეჩოგნენი

ბოლო კვირაა ქალაქი დუბაი ყველას აოცებს. ჯერ იყო და, „პალმის ქალაქის" ჯადო პროექტით, ახლა კიდევ სადღაც ცისკიდურზე ჩოგბურთის თამაშით. სადღაცო? სადღაც კი არა, ეს არის მსოფლიოს ყველაზე ცნობილი და მდიდრული სასტუმროს, „ბურჯ ალ არაბის" კოშკურა, რომელიც დგას ზღვაში ხელოვნურად აშენებულ კუნძულზე. კოშკის სიმაღლე 321 მეტრია, ზედ კი ჩაუქრობენ ანდრე აგასი და როჯერ ფედერერი. არსად დედამიწის ზურგზე ამსიმაღლე ადგილას კორტი არ არის.





სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხომერიკი, პაატა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge